

სპორტიელი

სპორტული გაზეთი

შაბათი 4 ოქტომბერი 2003 №188 (1959)

ფასი 50 თეთრი




RUGBY WORLD CUP 2003



ავსტრალია 10 ოქტომბერი - 22 ნოემბერი

სორელი საბაძეს ელის საქართველომ ინგლისამდე ზოგპარკში შეიარა



ორი დღეა, საქართველოს მორაგბეთა ნაკრები დასავლეთ ავსტრალიის ქალაქ პერთშია. ვარჯიშიდან ვარჯიშამდე ჩვენები გასართობადაც იცლიან და პერთის ღირსშესანიშნაობებს ათვალიერებენ.

მსოფლიოს თასის დანყებამდე 6 დღით ადრე კი ბორჯღალოსნებს შეიძლება ირაკლი გუნდიშვილი დააკლდეთ, რომელსაც მუხლის ტრავმა გაუმიზეზდა. გუმინ ბორჯღალოსანთა მენეჯერს გია ჭუმბურიძეს პერთში დავუკავშირდით

— ირაკლის ვარჯიშზე ასტკივდა მუხლი და თან კუნთიც აქვს დაჭიმული. ჯერჯერობით მისი გუნდში დატოვება არ დატოვება გადანყვეტილი არ არის.

— გუნდიშვილის საკითხი საბოლოოდ როდის გადაწყდება?

— ალბათ, ორ-სამ დღეში, სორელს არ სურს ნაჩქარევად თქვას ირაკლიზე უარი

ან პირიქით. გამორიცხული არ არის მალე ლევან ცაბაძეც შემოგვიერთდეს. ნახევარი საათის წინ გუნდის კრება იყო და სორელმა თქვა, თუ „ლეონსიო“ ათ დღეში შეძლებს თამაშს, აუცილებლად დავეიმაცებთო. ინგლისთან და სამხრეთ აფრიკასთან ვერა, მაგრამ სამოასთან და ურუგვაისთან ცაბაძემ შეიძლება ითამაშოს,

ცხადია, თუ ბოლომდე მომჯობინდა.

— თასის დანყებამდე ექვსი დღე დარჩა. ალბათ განსაკუთრებულად ემზადებით...

— სხვათა შორის, არა. პირიქით, ვცდილობთ ბიჭები არ გადავვალათო. ჯერჯერობით მხოლოდ დილაობით ვვარჯიშობთ, ძირითადად ტრენაჟორებზე. სალამოობით კი მასპინძლებს ექსკურსიაზე დავყავართ. გუმინ პერთის ზოოპარკში ვიყავით, ისეთი ზოოპარკია, საქართველოში ასეთ პირობებში ცხოველები კი არა, ხალხი არ ცხოვრობს. დღესაც აპირებენ ჩვენს გასვირინებას.

— პერთის ქუჩებში მეტოქეებს ხომ არ შეხვედრება?

— არა, ინგლისი და სამხრეთ აფრიკა ჩვენგან შორს, ქალაქის გარეუბნებში ცხოვრობენ, ხუთვარსკვლავედიან სასტუმროში. სამოას და ურუგვაის ნაკრებები კი ჯერჯერობით მალეულად დადიან.

ზარო სვანიძე




ფოტო: იმპრესარიო/სპორტიელი

დედას გეფიცებით, ბალათი და გურთი იქნება არ დააფართო იმედს!

დღეს მე-13 ეროვნული საკალათბურთო ჩემპიონატი იწყება. ქართული კალათბურთი პირობას ვერ გვაძლევს, რომ ჩანასახში მაინც დაემსგავსება იმას, რასაც ხანდახან ტელევიზორში ნაგანყდებით უცხო არხებზე. პირობა და დედის დაფიცება არც გვჭირდება, იმ მცირედზეც თანახმანი ვიქნებით, რასაც ოდნავ უკეთესი მომავლის იმედი ჰქვია, მაგრამ...

ჯერჯერობით, ერთადერთი, რასაც ქართული კალათბურთი შეთხელეებულ გულშემატკივრებს სთავაზობს, ეს დაძაბულობაა, ანუ ის, რაც ზომიერი სიუხვიით ყოველთვის ახლდა ვერის ბალის მატჩებს. რვაგუნდიან ჩემპიონატში ხუთი მეტ-ნაკლებად თანაბარძალოვანია, რომელთა შორის ხმაურით სახეცვლილი ჩემპიონი „დინამო“ ერთადერთი და შეუდარებელი როდია.

იხილეთ მეცამეტე გვერდი



ლევან ცაბაძის იმედი კლოდ სორელს თურმე კიდევ ჰქონია

სიზანიშვილის დერბიუბი მონატრებულ მადონინას ბალაქი შორიდან ნახაბს

კახა კალაძე პირველად გამოტოვებს მადონინას.

ზურაბ სიზანიშვილი პირველად ითამაშებს ოლდ ფირმში.

ამ უქმეების საფეხბურთო ევროპის მშვენიერა სწორედ ეს ორი უძველესი დერბია: იტალიური „ინტერ“ — „მილანი“ და შოტლანდიური „რეინჯერს“ — „სელტიკი“.


მრავალჯერ თქმულისა და დანერჩის გამეორებას, ანუ იმას, რომ ზვალ მილანის ლურჯი და წითელი უბნები, დღეს კი გლაზგოელი პროტესტანტები და კათოლიკეები ერთმანეთისადმი დაგროვილ

საუკუნოვან ბოლმას კიდევ ერთხელ გადმონახვევენ, ვფიქრობთ, აზრი არა აქვს.


ჩვენ იმით გავაგრძელოთ, რითაც დავიწყეთ.

ტრავმამოშუშებული კახა კალაძე მართალია, უკვე ვარჯიშობს, მაგრამ ჯერ ისე ვერ მოლონიერებულა, მადონინას რომ ეკადრება.

ათენურ ჯოჯოხეთს ღირსეულად თავდაღწეული ზურაბ სიზანიშვილი კი თავის პირველ რეინჯერსულ სეზონში პირველად გამოსცდის საკუთარ თავზე მარტინ ონილის შმაგი ბიჭების შმაგ შემოტევებს.



კახა კალაძე



ზურაბ სიზანიშვილი

გადონი კაპიტილი/სპორტიელი

ეფკ. მაღონინა

ხვალ მაღონინა, ანუ დიდი დერბი — ინტერი — „მილანი“.
მეოთხე სეზონია საქართველოს ეროვნული გუნდის დაცვის
ბურჯი ეკაბა კალაძე „როსონერის“ ღირსებას იცავს და ამ ხნის
მანძილზე „შავ-ლურჯებთან“ ერთი ჯახიც არ გამოუტოვებია...
კალაძე „მილანს“, როგორც ბოლო თვესავე მანძილზე,
ხვალაც ტრიბუნებიდან უქომაგებს. მისი უთამაშებლობის მიზე-
ზი რა ხანია ცნობილია — იგი ტრავმირებულია, თუმცა...
გუშინ, კახა კალაძის მილანში დაეურეკეთ

— თავს კარგად ვგრძობ, ფეხი
საერთოდ არ მაწუხებს. მუნდლიც
დავიწყე და ტრენინგებზეც და-
ვივარ.
— სრული დატვირთვით რო-
დისლა ივარჯიშებ?
— მაქსიმუმ ორ კვირაში გუნდ-
თან ერთად განვაახლებ წვრთნას,
ექიმებმა ასე მითხრეს.
— კეთილი. კვირას კი დერბია,
„ინტერთან“ ჯახს პირველად ტო-
ვებ...
— რას ვიზამთ, გული კი ძალიან
მწყდება. თვესავე ვივარ, რომ იტყვი-
ან „უსაქმოდ“ ვარ და თამაში ძალი-
ან მენატრება. ცხადია, „მილანს“
როგორც აქამდე, ტრიბუნებიდან მთე-
ლი გულით ვუქომაგებ.
— „ინტერს“ დამავებული მარკო
მატერაცი არ ეყოლება. იგი ხომ
თქვენზე გადამტყრებული და ძა-
ლიან უხეში ფეხბურთელია...
— მით უკეთესი მათთვის, რომ
არ იქნება. დარწმუნებული ვარ, რომ
ყოფილიყო, მსაჯი მას აუცილებ-

ლად გაადგებდა და კაცნაკლებს
უფრო ნაკლები შანსი ექნებოდათ.
— თამაში განცხადებაა. „მილა-
ნის“ გამარჯვებაში დარწმუნებული
ხართ?
— მეჯერა, რომ მოვივებთ. განწ-
ყობაზე და მეტოქეზე ლაპარაკი ზე-
დმეტია. ვიცი, „ინტერი“ შარშანდუ-
ლის გამო დაბოლილია, მაგრამ არც
ჩვენ ვართ ნაკლებნი.
— რივალდომ საბოლოოდ მოაგ-
ვარა გუნდთან და ანგლოტისთან
ურთიერთობა?
— რივალდო კვლავაც გუნდშია.
ცხადია, ისიც ემზადება. მისი უკმა-
ყოფილებაც გასაგები იყო, შემაღე-
ნლობაში ვერ ხვდებოდა...
— და რახან დარჩა, ანგლოტი
„ინტერთან“ შეცვლის ნაცად შემე-
დგენლობას?
— არა მეონია. მისთვის არ აქვს
მნიშვნელობა, თუნდაც რივალდო
იყოს. მოედანზე ღირსეული და 11
უძლიერესი ვაყა.

ბიოგრაფია

ინგლისი
კონფედერაციული თამაშები XII ტურში
ბარტონი 3:4 ამაბარი
გერმანია
II ბუნდესლიგა. VIII ტურში
კარლსრუე 3:1 კოტაუსი
ოსნაბრიუკი 2:2 დუნისბუმი
ტრირი 2:3 არმიინია
სამხრეთ რეგიონალური X ტურში
ზიგენი 0:2 ოფენბახი
ტიხინი 2:0 კიოხანსლუბანი (ფ)
არფურტი 1:2 აფელდორფი
საფრანგეთი
II დივიზიონი XI ტურში
სანტ ატიანი 2:0 რანი
პორტუგალია
სუპერლიგა. VII ტურში
გოაიუზა 1:1 ბელენენსეზი
კოლანდია
I დივიზიონი. VII ტურში
ვიტაში 3:5 ბანეტი
II დივიზიონი. VIII ტურში
ფანი 1:0 ვანდანი
ფორდრახტი 0:0 ბრანდსბაი
სიტარდი 1:1 სარბა
პერაპლანი 2:0 მასტრინი
ტალსტარი — ეინდჰოვანი
(4:1-ზე შეწყდა)
ოსი 1:2 მასალსიორი
ვილფო 4:0 კამბური


ავსტრია
მასხუნდესლიგა XII ტურში
ბრეგენცი 4:2 აუსტრია
I დივიზიონი XIII ტურში
უნტარზინგენი 2:1 რიდი
ლიოპოლი 0:2 აუსტრია (ლ)
ტიროლი 1:0 ვიორაი
უგანდა
ჩალენგერი XII ტურში
ლუგანი 1:1 მირინი
ირლანდია
პრემიერლიგა. XXIV ტურში
კორკ სიტი 2:2 უოტერფორდი
დუბლინი 0:1 შალბური
თაისის ნახევარფინალი
ლონდონი 1:0 ბალვი
თურქეთი
სუპერლიგა. VIII ტურში
თონია 2:4 ფანერბაჰი
ჩეხეთი
გამბრინესლიგა X ტურში
ზლინი 3:2 ბრნო
პოლონეთი
I ლიგა. VIII ტურში
ლავია 3:1 ანოვა
უნგრეთი
ბურსლი ლიგა X ტურში
ბაქ 2:0 ბაიოზაა

საქართველოს **15** ჩაბარება **11** ტურში

უმაღლესი დივიზიონი **ლიგა** ეფკ

განუყოფილი იქნა სამი ქულა

შეიძლება ბორჯბოლო გორული ვაულისით?



იგო შუშაკო

კვირას ეროვნული ჩემპიონა-
ტის პირველი ეტაპის ნახევარი დამ-
თავრდება, მაგრამ მეთერთმეტე ტუ-
რი არასრულად ჩატარდება. „თბი-
ლისი“ — „ლოკომოტივი“ 4 ნოემ-
ბრისთვის გადაიდო. მიზეზი 19-წლა-
მდელთა ნაკრები, რომელიც ევრო-
შესარჩევში უნდა ჩაეხდეს და ორივე
გუნდიდან ჰყავს ფეხბურთელები
გამომსახურებელი. თუმცა უამატირადაც
არ მოაკლდება ტურს ინტერესი,
რადგან ისეთი გუნდები დაწველ-
დნენ, ვინმე სატურნირო ცხრი-
ლში ბევრი რამ შეიცვალის.
ჩემპიონატის ერთპირი ეროვნული ლი-
დერი „ვიტ ჯორჯია“ ქვემოქართლში
ითამაშებს და ამთავითვე ცხადია, რომ
დაძაბული, შესაძლოა, დრამატული
მატჩიც ვიხილოთ ბოლნისში.
„სიონი“ კბილალესილი ელის სო-
ლიდურ მეტოქეს ბოლნისელებს ქუ-
ლაც არ დაუკარგავთ შინაურ სა-
რბიულზე — ოთხივე მოგებულ მა-
ტჩში რვა გოლი აქვთ გატანილი და
მხოლოდ ერთი გაშვებული. რაღა
გასაკვირია, რომ ასეთი გაქანების
გუნდმა ლიდერის წაქცევაზე იფი-
ქროს არც მალავენ ბოლნისელები,
„ვიტ ჯორჯიას“ წახდენა რომ სურთ,
თავს არ დაუზოგავენ, მოვივებთ და
ეგებ პირველი ეტაპის ნახევარი პი-
რველ საფეხურზე ჩავამთავროთო.
ბუნებრივია, მოსაგებად გაიწევეს
ლიდერიც, მით უფრო, რომ ბევრი-
სგან განსხვავებით „ვიტ ჯორჯიას“
ბოლნისში წარმატებით თამაშის
გვარიანი გამოცდილება აქვს. თუმცა
ისიც ცხადია, რომ ბოლო ორი ტუ-
რი, მძიმედ თამაშობს ზურაბ ბერი-
ძის გუნდი. ვიტლებმა სასწაულე-
ბრივ მოიგეს მეცხრე ტურში ბოლო
წუთებზე ოზურგეთში, სამშაბათს
კი ამაოდ დაშვრნენ „თბილისთან“
მომქანცველ, უგოლო მატჩში.
ინტრიგა არ მოაკლდება „დილა“
— „ტორპედოსაც“. გორში თამაში
ყოველთვის ჭირდა, წლეულს კი
„დილას“ მეტოქეთათვის ორმაგად
გართულდა ვითარება. „დილა“ წე-
ლში გაიმართა, მობილური, მეტრი-
ლი გუნდი ჰყავთ გორელებს, ლიდე-
რთა სამეულიდან ფეხს არ იცვლიან
და ტურიდან ტურამდე უფრო მეტ
ქომაგს იძენენ. მოკლედ, გორში ჩა-
სულ გუნდს პრობლემები არც მო-
ედანზე მოაკლდება და არც ტრი-
ბუნებიდან.

„დილა“ ასპროცენტებიანი საშინაო
სთვის“ ფსიქოლოგიური თვალსაზ-
რისით ერთობ მნიშვნელოვანია საკ-
ვირაო მატჩი, რაკილა ზედიზედ მე-
ორე გასვლით თამაშში წაფორზი-
ლება დიდ პრობლემებს შეუქმნის.
კახაბა კვანცალაიანი

მთავარი. 5 ოქტომბერი. 16 საათი. ცენტრალური
მერსნალი — სპარტაკი
მთავარი: გ. ახაროლი (ქარელი); ა. აფიაური, ო. ხეცაძე; ა. კრიკაშვილი (სამივე თბილისი); სფშ-ის ინსპიტორი: ო. გუნთაძე; დირექტორი: ს. კოტრიკაძე
მთავარი. 5 ოქტომბერი. 16 საათი. თამარ ხატუნაძე
სიონი — ვიტ ჯორჯია
მთავარი: ა. შილაკაძე (თბილისი); გ. ჩიგოციანი (სამტრედია); ზ. ჯვარიძე (თბილისი); ა. ორდინიძე (ონი); სფშ-ის ინსპიტორი: ნ. კაკულია; დირექტორი: გ. ძამუკაშვილი
მთავარი. 5 ოქტომბერი. 16 საათი. არმაზი
მცხეთა — კოლხეთი
მთავარი: კ. მესხი (ზუგდიდი); ნ. რუსიშვილი, კ. გაბრიაძე (ორივე ქუთაისი); ზ. ანიაშვილი (გორი); სფშ-ის ინსპიტორი: ი. მჭედლიშვილი; დირექტორი: ბ. ბურჯულიანი
მთავარი. 5 ოქტომბერი. 16 საათი. თინათინ ბურჯანაძე
დილა — ბორჯბოლო
მთავარი: მ. მალაღობაძე; მ. ულიკაშვილი (ორივე თბილისი); ლ. შიქელაძე (სამტრედია); ა. მეშვილი (თბილისი); სფშ-ის ინსპიტორი: ა. მილჩენკო; დირექტორი: რ. ლორთქიფანიძე
მთავარი. 5 ოქტომბერი. 16 საათი. დინამო
ბათუმი — დინამო
მთავარი: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი); გ. ცირცია (გურჯაანი); გ. კიკაბიძე (ქუთაისი); სფშ-ის ინსპიტორი: გ. ბარკაია; დირექტორი: გ. სორდია
მთავარი. 5 ოქტომბერი. 16 საათი. დინამო
თბილისი — ლოკომოტივი

გადადიო

მარაგით დახვდება რიონისპირე-
ლებს — 4 მატჩი, 4 მოგება.
„ტორპედო“ კი არეულ-დარეულია.
კლუბში ღრმა კრიზისია ჩემპიონობას
ვინ ჩივის, ბევრს „ტორპედოს“ საექ-
სულო მანისისაც არ სჯერა. რიონ-
სპირელებმა ბოლო ტურში „მცხეთა-
სთან“ წააგეს ქუთაისში და ვინმე
„თენგიზ ბურჯანაძეზე“ გორული
ვაშლივით შემოეჭამონ მეტოქეს.
„ბათუმი“ — „დინამო“... შარშან,
წინა სეზონში, 6 ოქტომბერს გაიმარ-
თა ეს მატჩი და თბილისელებმა
მოგებით საიუბილეო საჩუქარი უძ-
ღვენეს იგო შუშაკს. მოკლედ, ორმა-
ბათს შუშაკის დაბადების დღეა და
რაღა გასაკვირია, რომ ზორვატი
მწერტნელი ერთი დღით ადრეც არ
იტყვის საჩუქარზე უარს. „დინამო-

ვიტ ჯორჯია	10	6	3	1	17:5	21
დინამო	10	6	2	2	25:5	20
დილა	10	6	1	3	15:8	19
სიონი	10	5	4	1	12:6	19
ლოკომოტივი	10	4	3	3	13:11	15
ბორჯბოლო	10	4	2	4	9:9	14
მცხეთა	10	4	1	5	11:19	13
თბილისი	10	3	2	5	11:14	11
კოლხეთი	10	3	2	5	8:11	11
ბათუმი	10	3	1	6	8:13	10
მერსნალი	10	2	2	6	9:20	8
სპარტაკი	10	1	3	6	4:21	6



ბოლნისში მეტოქეები ერთმანეთს რომ არ დაზოგავენ, თქმა არ უნდა

ფეხბურთი

ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი

პირველი ლიგა


6 ოქტომბერი

მარჯა ტური

ამერი — მილანი

თბილისი 16 საათი. დასრულება უფასო

ვლადიმერ გუცაევი: ჩემი პოლიტიკა სპორტია შპრეტენზიო მცხეთას ამბიცია არ აქვია



ვლადიმერ გუცაევი

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ერთი კარგი ტრადიცია იყო. პირველობის დამთავრების შემდეგ ნაირ-ნაირი ჟურნალ-გაზეთები თავიანთ დაწესებულ წამახალისებელ ჯილდო-სიგელებს გადასცემდნენ ხოლმე რჩეულებს. იყო ასეთი პრიზიც — „ავტორიტეტის რისხვა“ — ჩემპიონატის მოწინავეებთან ყველაზე წარმატებით მოთამაშე გუნდისთვის.

ჩვენში ახლა მსგავსი ტრადიცია მოკვდა, აქაილა, საბჭოურის გადმონაშთია და არ გვეჭირდება.

ბევრი ალარ გავაგრძელოთ, პრიზები პრიზებად დარჩეს და ეს ვიკითხოთ: რა გუნდია „მცხეთა“? უმაღლეს ლიგაში წლებულს აღზევებული და სულ სამი წლის წინ ვლადიმერ გუცაევის ჩამოყალიბებული „მცხეთა“ ის გუნდია, ჩვენი საზომებით გრანდებს ერთმეორის მიყოლებით რომ ამარცხებს, კერძო კაპალის სახელი დაიდო და პრიზი „ავტორიტეტის რისხვა“ დღეს დაწესებული რომ იყოს, უკვე უნდა გადაეცეს მცხეთელებს.

„მცხეთაში“ მეორე ტურში „ლოკომოტივი“ სძლია, ორი სენსაციაც ახლახან გამოაცხადო, მინ „დინამო“ დაამარცხა და მერე ქუთაისში „ტორპედო“ დააყოლა.

ორივე ამ მატჩში მცხეთელებს ვლადიმერ გუცაევი ხელმძღვანელობდა, რომელიც სამწრთნელო საქმეს დროებით მიუბრუნდა და გუნდს ხმაურიანი ექვსი ქულაც მოუტანა. ისე კი, გუცაევი „მცხეთას“ პრეზიდენტია და ახალგაზრდის რაიონის ქართულ ნაწილში დეპუტატობის „ნაციონალი“ კანდიდატი.

— „მცხეთას“ ჩემპიონატში პრეტენზიები ნაკლებად აქვს, თუმცა

ეს არ ნიშნავს, რომ უამბიცო გუნდი გვყავს — გვიტხრა ვლადიმერ გუცაევი — მიუხედავად „დინამოსა“ და „ტორპედოს“ დამარცხებისა, „მცხეთას“ რეალურად არ აქვს ამ გუნდებთან გათანაბრების ძალა. ჩვენი მიზნებიც უფრო მოკრძალებულია. თავიდან, როგორც ყველა დებიუტანტს, „მცხეთასაც“ უმაღ-

ლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება ჰქონდა მიზნად, შემდეგ, როცა მეტოქეთა შესაძლებლობებში უკეთ გავერკვიეთ, ექვსეულზეც დავიწყეთ ფიქრი, მაგრამ „დინამოსთან“ და „ტორპედოსთან“ მატჩებამდე ჩავარდნა გვექონდა და...

— „დინამოს“ და „ტორპედოს“ ძლევით ექვსი ქულა შეიმატეთ. „მცხეთა“ ექვსეულს უკვე ქულითა ჩამორჩება.

— ვნახოთ, თუ ისევე გავაგრძელებთ, როგორც „დინამოსთან“ და „ტორპედოსთან“, ექვსეული ჩვენგან შორს არ უნდა იყოს.

— ლიდერების დამარცხების რაიმე თქვენი რეცეპტი გაქვთ?

— ბიჭებმა თავიანთი დავალება ხუთიანზე შესარულეს და შედეგც შესაბამისი მივიღეთ.

— მაინც რა უთხარით ფეხბურთელებს „დინამოსთან“ და „ტორპედოსთან“ მატჩებამდე?

— მოვითხოვე, რომ ბოლომდე ებრძოლათ და ტემპში ეთამაშათ, რა თქმა უნდა, გარკვეული ტაქტიკურ დავალებასთან ერთად. კარგია, რომ ბიჭებმა ნათქვამის მოედანზე გადატანა შესძლეს. ამ მატჩებმა „მცხეთის“ პოტენცია გამოაჩინა.

— ესე იგი, ჩავთვალთ, რომ „მცხეთა“ კიდევ მოუმატებს და სიურპრიზებს არ მოგვაკლებს?

— ვნახოთ, რა როგორ იქნება. სამწუხაროდ, „მცხეთას“ ჯერ არ აქვს ისეთი ფინანსური შესაძლებ-

ლობა, როგორც რამდენიმე სხვა კლუბს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ გუნდს გაძლიერება სჭირდება, ჩვენ კი ფეხბურთელების მოწვევა არ შეგვიძლია. ტრანსფერებში ფულის გადახდა ჩვენს შესაძლებლობებს აღემატება და იძულებული ვართ, გუნდში ისეთი ფეხბურთელი მოვიყვანოთ, რომელიც თავისუფალი აგენტია. როცა სპონსორი გვეყოლება, მერე სატრანსფერო ბაზარზეც გამოვჩნდებით.

— მწვრთნელის მოწვევასაც უფულობის გამო ვერ ახერხებთ?

— არა, „მცხეთა“ მწვრთნელს იმდენს გადაუხდის, რამდენსაც საშუალო დონის ქართული გუნდები იხდიან. აქ სხვა ფაქტორებიცაა გასათვალისწინებელი, ერთ-ერთი კი ისაა, რომ ბევრ მწვრთნელს ეშინია უმაღლესლიგაში გუნდის თავკაცობა. საერთოდ, „მცხეთას“ ისე არ უჭირს, რომ ხელფას-პრემიას ვერ გასცემდეს, ან თუნდაც მგზავრობაკვების პრობლემა ჰქონდეს. სხვათა შორის, ამას წინათ თქვენს გაზეთში ეწერა, თითქოს ბათუმში თამაშამდე ფეხბურთელები მშვივრები იყვნენ და სასტუმროს ფულიც არ იყო. ასე არ არის. ბათუმში მატჩამდე ისეთ სასტუმროში ვცხოვრობდით, სადაც ზაფხულში ნომერი ასი დოლარი ღირს. კი, მართალია და ვთქვი კიდევ, „მცხეთა“ დიდი გაქანების გუნდი არაა, მაგრამ არც გაჭირვებული ეთქმის.

— კიდევ რამდენ ხანს აპირებთ გუნდის გაწვრთნას?

— იქამდე, ვიდრე ახალი მწვრთნელს მოვებნით. ამ პოსტზე დროებით ვარ.


— პარლამენტარობა რამ გადაწვევტინათ?

— ვიდრე ამ გადაწვევტილებას მივიღებდი, ბევრი ვიფიქრე და როცა დავრწმუნდი, საქმის კარგად კეთებას შევძლებდი, მაშინ გავეწვევრიანი ნაციონალურ მოძრაობაში და პოლიტიკაში მივედი. ჩემი პოლიტიკა სპორტია. თუკი პარლამენტში არიან ექიმები, ინჟინრები, კიდევ სხვა ათასი პროფესიის ხალხი, რატომ არ უნდა იყოს ფეხბურთელი? ბევრი იდეა მაქვს. შევეცდები, დეპუტატობით მრავალი პრობლემა მოვაგვარო. თანაც გუცაევი ახალგაზრდის რაიონში იყრის კენჭს, რაიონში, რომელიც ორადეა გაყოფილი. ერთი მხარე ჩვენს იურისდიქციას ექვემდებარება, მეორე — ცხინვალს. ჩემი მშობლები სწორედ იმ მხარეს ცხოვრობენ, რომელიც ახლა გადმა პარლამენტში მოხვედრით ამ საკითხს ხელისუფლების წინაშე უმწვავესად დავაყენებ.

— დარწმუნებული ხართ გამარჯვებაში?

— სხვათა შორის, ამ ბოლო დროს ახალგაზრდის მოსახლეობასთან შეხვედრას რომ ვაპირებდი, გამგებელმა, რომელიც არჩევნებში ჩემი კონკურენტია, გზა გადაკეტილი დამაძვედრა და ბარკადები აღმართა. ცეზარ ჩოჩელი ლუდი „ლომისის“ ერთ-ერთი მეწილეც არის და რაიონში ჩემნაირ კონკურენტს ხელს ყველანაირი მეთოდით უშლის.

კობა ინასარიძე



ორშაბათს საქართველოს ცხრამეტწლამდეელთა ნაკრები ესტონეთში მიემგზავრება, სადაც ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი ეტაპი ტარდება. ჩვენი ჯგუფის მატჩებს სწორედ ესტონეთი მასპინძლობს.

მესამე ჯგუფში კობა ჟორჯიკაშვილის გუნდის მეტოქეები მასპინძელთა გარდა იტალიისა და ბელგიის ცხრამეტწლამდეელთა ნაკრებებია

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის X შესარჩევი ჯგუფი ჩვენი მეტოქე

შუანსო, მებრამ მანს სპარტოელთა იარცხვამ და კოლოსკოვამ 18 რუსი გამოაქვეყნეს

რუსეთი

რუსეთ — საქართველოს მატჩამდე დიდი დრო არ დარჩა. რუსთა მთავარმა მწვრთნელმა გიორგი იარცხევმა სამამატროდ ფეხბურთელები უკვე შეიგულა და პრემიერლიგის ტურის დასრულებისთანავე ნაკრები მზადებას დაიწყო. ქართველებთან მატჩს რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი ვიჩესლავ კოლოსკოვიც გამოეხმაურა:

— ნაკრების შემადგენლობაზე ორშაბათს ვისაუბრეთ. შევხვდი გიორგი იარცხევს და გუნდის უფროს ნიკიტა სიმონიანს. შევეთანხმდით, რომ ქართველებთან სათამაშოდ 18 ფეხბურთელი გამოვიმარებთ. მათ შორის არიან ის ბიჭები, რომლებმაც ირლანდია-შვეიცარიასთან ითამაშეს. სამწუხაროა, რომ ტრავმირებულია ზენიტელი ვლადისლავ რადიმოვი. გავარკვიეთ სათადარიგო მოედნის საკითხიც. თუ ამინდმა ხელი არ შეგვიწყობ, მაშინ ბორის ნაცვლად კლიმოვსკი ვივარ-

ჯიშებთ, სადაც სიმონიანის თქმით, „უემბლის“ დარი მინდვრის საფარია...

აქვე გეტყვით, რომ საქართველოს წინააღმდეგ გამორიცხულია დმიტრი აღენიჩვიის თამაში. პორტუგელი ნახევარმცველი ჯერაც არ გამოჯანმრთელებულა და კოლოსკოვის თქმით, მისი კანდიდატურა მწვრთნელთან შეხვედრისას არც განხილულა. მცირე ტრავმა აწუხებს ლოკომოტიველ ვადიმ ევსევსაც, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში ლონდონის „არსენალთან“ მატჩში დაშავდა.

— დარწმუნებული ვარ, უმასო საქართველოს ნაკრები მოსკოვში თავს დადებს — განაცხადა კოლოსკოვამ — ქართველებმა პირველ მატჩში დაგვამარცხეს და ცხადია, ეცდებიან, კიდევ ერთხელ დამტკიცონ, რომ ჩვენზე ძლიერები არიან. ამიტომ მეტოქის უმოტივაობაზე დიდ იმედს ნუ დავამყარებთ. სხვა მხრივ, სექტემბერში ჩვენი კლუბების ევროტურნირებზე კარგ თამაშს წარმატების საწინდარად მივიჩნევთ. ეს მატჩი აუცილებლად უნდა მოვიგოთ.

კობა ინასარიძე

ახოზა ჟორჯიკაშვილი: უსწოებზე ბევრს პერაფერს ვიტყვი

სამიოდ დღეა, ქართველები შეკრებაზე არიან. კობა ჟორჯიკაშვილის გუნდი ამხანაგურ მატჩებსაც ატარებს და ესტონეთში მაინც მოუშვალბებელი, თუმცა იმედით მიდის.

გუშინ საქართველოს ცხრამეტწლამდეელთა ნაკრების თავიკაცს გავესაუბრეთ:

— ესტონეთში 6 ოქტომბერს წავალთ. მანამდე თბილისში ვივარჯიშებთ. რამდენიმე დღეა, რაც გუნდი შეეკრიბე და შეძლებისდაგვარად ვემზადდებით.

— მეტოქეებზე თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია?

— არა. არაფერი არ ვიცი. ზოგადად წარმომიდგენია, როგორი გუნდებიც იქნებიან, მაგრამ, სამწუხაროდ, კონკრეტული არაფერი მსმენია. შარშან ბელგიელი თერამეტწლამდელები იყვნენ თბილისში და მათი თამაშის სტილი მეტ-ნაკლებად ვიცი, თუმცა ეს, ცხადია, არასაკმარისი ინფორმაციაა.

— რა შედეგი დავაკმაყოფილებთ?

აქსა ზალაზგარიძე


მესამე ჯგუფი:
იტალია, იტალია, საბარტოველი, ესტონეთი

8 ოქტომბერი
ბელგია — საბარტოველი
იტალია — ესტონეთი

10 ოქტომბერი
საბარტოველი — იტალია
ბელგია — ესტონეთი


12 ოქტომბერი
ესტონეთი — საბარტოველი
იტალია — ბელგია





სოფლის გიჟს ალიბი აქვს

ჯო ბაქაძე იწვევს ინტერვიუ



ინგლისში გამოძიება გრძელდება. საქმეს მოკლედ შევახსენებთ: პრემიერლიგის ერთ-ერთი გუნდის ფეხბურთელებმა ლონდონის სასტუმროში, რომელსაც «გროსვენორ ჰაუს ოტელი» ჰქვია, 17 წლის გოგო გააუპატიურეს. სასტუმროს 316-ე ნომერში გოგო საკუთარი ნებით ნაპყვავ სხვა კლუბის მოთამაშეს, თუმცა სრულიად გაუგონარ ნამსწრის კარი გაიღო და ოთახში შეიღწი შეცვივდნენ. «სკოტლანდ იარდი» ყველაფერს დიდი ყურადღებით იძიებს. სახელების და გვარების დასახელებას კი ჯერ ერიდებიან

თუმცა, უნდა მოგახსენოთ, რომ ექვმიტანილთა ვინაობა პრესისთვის ცნობილია. კერძოდ, გაზეთი „სანი“ ამას არც მალავს, პირდაპირ აცხადებს, ყველას სახელი ვიცით, მაგრამ მიზეზთა გამო ჯერ არ ვასახელებთ, ხოლო ჩვენ ის დაგვრჩენია, ბრიტანულ წყაროებში ამოკითხული ვიამბოთ.

დავიწყეთ იმ ფეხბურთელით, რომელიც გოგონა თავისი ნებით გაპყვავ სასტუმროში და რომელსაც არ უჩივის. დაირხა ჭორი, რომ ის „ჩელსიში“ თამაშობს. ვიმეორებთ, „სანი“ ზუსტად იცის ვისზეცაა ლაპარაკი, მაგრამ არ ასახელებს. მერე რაო, იკითხავს მკითხველი, მართლაცდა რა, დაზარალებული მას ხომ არაფერს ემართება? კი ბატონო, მაგრამ მისი პიროვნება პოლიციისთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი, ამ კაცს შეუძლია ზუსტად დაასახელოს ვინ, როდის, რა ჩაიდინა. იგი, ასე ვთქვათ, მთავარი მოწმეა.

ცნობისთვის: „ასტონ ვილა“, რომელიც გასულ უქმეებზე ლონდონში თამაშობდა, ოფიციალურად განაცხადა, რომ გაუპატიურების ისტორიას მასთან კავშირი არ აქვს. ახლა კი კიდევ უფრო საინტერ-

ესო ისტორიას მივადექით. გავიხსენოთ ასეთი დეტალი: სასტუმროში რამდენიმე ოთახი, მათ შორის 316-ე ნომერი, ერთი ფეხბურთელის სახელზე იყო დაქირავებული, თუმცა ეჭვი, რომ თავად ის ფეხბურთელი გაუპატიურებამი არ მონაწილეობდა, იმთავითვე დაირხა და „სარბიელშიც“ ეწერა.

ის ფეხბურთელი თავის კლუბს ორი კვირის ხელფასით, 90 ათასი გირვანქით დაუჯარიმებია. დაახლოებით გაუპატიურებამი რომ არ მონაწილეობდა, როგორც ჩანს მტკიცდება. კერძოდ, აღმოჩნდა, რომ ვიღაცას ნებით თუ უნებლიედ დაუნახველობია ფოტოაპარატი და ამით ფირზე აღუბეჭდავს, როგორ გამოდიოდა ეს ფეხბურთელი შაბათ ღამეს, სამის ოც წუთზე, ლონდონის ერთ-ერთი „საზკვების ობიექტიდან“, სადაც ორ ნაცნობთან ერთად ყოფილა. შემდეგ, სასტუმროს ნომერთა დამქირავებელი მავან ქალთან ერთად ყვადღებულ „გროსვენორ ჰაუს ოტელში“ მისულა და შაბათსვე შუადღემდე იქიდან აღარ გამოსულა. საკუთრივ სასტუმროს ვიდუაპარატურაც, როგორც ამბობენ, ამტკიცებს, რომ იგი 316 ნომერში საერთოდ არ შესულა.

მაგრამ სხვა ნომერში, სხვა ქალთან განმარტოვებამ იგი საკუთარი კლუბის რისხვისგან ვერ დაიხსნა. ორშაბათ დილას, საწვრთნელ ცენტრში მას და მის ექვმიტანილ თანაგუნდელებს კლუბის თავმჯდომარის დანიშნული კრება დახვდათ. კრება ძალიან მკაცრი და ჯიქური გამოდგა. მწვრთნელი თავიდან ცუდადაც კი შეიქნა და მის წამლობას დრო დასჭირდა. ლამის იყო კლუბის ოთახში საუბარი პოლიციის დაკითხვას დაემსგავსა.

მწვრთნელმა ხსენებულ ნომერთა დამქირავებელს „სოფლის გიჟი“ უწოდა და მიახალა, რომელი ამათგანია ღარიბი, სასტუმროში ნომრის დაქირავება თავად რომ არ შეეძლოსო. როგორც ირკვევა, დამქირავებელი ცოლშვილიანი კაცია და ამგვარ ისტორიაში თავის გაყოფა არაფრით სურდა.


კრებაზე დამქირავებელი იმდენად გაბრაზებულია, რომ ექვმიტანილებზე მუშტით წასულა, მაგრამ გამოუთრევიათ და ჩხუბის საშუალება არ მიუციათ, ხოლო მწვრთნელი მისი ათი კვირის ხელფასის დაქვითვას აპირებდა და კანონს ხელი რომ არ შეეშალა (კანონით ორი კვირის ხელფასის დაქვითვაა მაქსიმუმი) ასეც იხამდა.

რამ გამოიწვია მწვრთნელის ასეთი გაცხარება ამ, დამქირავებელი ფეხბურთელის მიმართ? ალბათ იმან, რომ იგი ინგლისის ნაკრების წევრია.

და ბოლოს, ირიბად ამ საქმეს დევნი ბექემის დის, ჯოს სახელიც ამოჰყვა — როგორც ირკვევა, ჯოს ბოლო კვირების მანძილზე ექვმიტანილთაგან ერთ-ერთი

ეკეკლუცება და იგიც სიამოვნებით „დაქვითვას“ მასთან ერთად. გაუპატიურების მეორე დღეს ჯო და ის ფეხბურთელი ერთად უნახავთ რომელიღაც ბარში, სადაც სხვებიც ყოფილან, მათ შორის „მანჩესტერ იუნაიტედის“ მცველი რიო ფერდინანდიც, რომელსაც ჯო ბექემი გაუფრთხილებია, პაპარაცები ფოტოებს გიღებენ და ემანდ რამე არ იყოს, წყნარად მოიქეციო. ჯოს ქუდი ჩამოუფხატავს, სახე დაუმალავს, თუმცა ახლობელთა თქმით, აბსოლუტურად დარწმუნებული ყოფილა, რომ მისი მეგობარი გაუპატიურებასთან არაფერ შუაშია. გაჩნდა ეჭვი, რომ აქ ლაპარაკია სწორედ ზემოხსენებულ დამქირავებელზე.

გააუხან კედი



დევნი ბექემის დაიკო ერთ-ერთი ექვმიტანილს პყვარობს

კასლი“, „ასტონ ვილა“ და „ლივერპული“ (დელაქალაქის სტუმრები). ერთი ნაბიჯით კიდევ წავიწიოთ. კოლექტიური გაუპატიურება პარასკევიდან შაბათ ღამეს მოხდა. ლოგიკური ვივარაუდოთ, რომ იმ გუნდების ფეხბურთელებს, რომლებსაც შაბათს ჰქონდათ სათამაშო, მატჩის წინა ღამეს ბარებში სათრობად და საცუდლუტოდ არაინ გაუშვებდა. ამ ლოგიკით კი „ჩელსი“ და „ასტონ ვილა“ უნდა გამოვიცხოთ.

გამოსარიცხია „ფულემი“ და „ტოტენჰემი“, რადგან ამ გუნდებს წინა უქმეებზე გასვლები ჰქონდათ და ლონდონში არ უნდა ყოფილიყვნენ. რვიდან ოთხი გუნდი გამოვიცხეთ, ანუ ოთხი დაგვრჩა. გაავარაუდოთ, „ლივერპული“, „ჩარლტონი“ კვირას სტუმრობდა. ესე

იგი, მერსისაიდლებს პარასკევს ლონდონში არაფერი ესაქმებოდათ. დაგვრჩა სამი გუნდი: „არსენალი“, „ნიუკასლი“ და „ჩარლტონი“. შემდეგი ფაქტი ასეთია: ერთ-ერთი ფეხბურთელი ინგლისის ნაკრების წევრია და თან ძალიან ცნობილიც. ამ ფაქტის გათვალისწინებით, „ჩარლტონი“ შეგვიძლია გამოვიცხოთ. იქ ასეთი არავინაა.

ახლა ამ ორი გუნდის შემადგენლობები გავიხსენოთ და რამდენიმე გვარი უმაღლესი დივიზიონში — ეს ფეხბურთელები დიდი ხანია, პოლიციის კართოტეკებში არიან მოხვედრილნი და გუნდი?

ნიუკასლ იუნაიტედი

უპიჯარია	
ბარაუ 3:1 სანტ ბალენი	
10 მონოა (3), 2:0, 3:0 ბიელი (18, 27), 3:1 ტანგ-მენსა (54)	
თუნი 1:1 სარვატი	
0:1 აზიკონუ (55), 1:1 რამა (62)	
ვილი 2:1 ბრასკოპარი	
0:1 მონტანდონი (58), 1:1, 2:1 კალა (63, 90)	
მსამამსი 1:3 ბაზალი	
0:1 ბარბერისი (35), 0:2 პ. იკინი (40), 0:3 დელგადო (68), 1:3 ოიონგი (77)	
ციურიზი — იანგ ბონი	
15 ოქტომბერს გაიმართება	
ბაზელი	12 12 0 0 39:10 36
სერვეტი	12 6 4 2 25:20 22
იანგ ბოსი	11 6 1 4 20:17 19
ბარაუ	12 5 4 3 19:16 19
ქსამაქსი	12 4 2 6 16:19 14
თუნი	12 3 5 4 14:24 14
სენტ გალენი	12 3 4 5 17:21 13
გრასკოპერი	12 3 1 8 16:27 10
ვილი	12 2 3 7 18:28 9
ციურიზი	11 2 2 7 16:18 8

ფინეთი

ფინეთი	
ბიკაუსლინა 1:1 ტური	
პიპ 0:0 პაპა	
ინტარი 3:2 იოპარიტი	
იარო 2:2 პაპინლინა	
ჟაზი 2:2 მიუპა	
ქაპ 0:0 ტურპუ	
ლაპტი 2:1 კუიპიო	
პაი	22 15 4 3 48:12 49
პიე	23 14 6 3 41:14 48
ტამპერე	23 12 4 7 33:19 40
ალიანსი	22 10 5 7 41:34 35
მიუპა	21 10 4 7 38:25 34
ლაპტი	23 8 8 7 32:28 32
იარო	24 8 8 8 32:34 32
ტურკუ	23 8 7 8 28:28 31
ინტარი	23 8 5 10 39:37 29
ჟაზი	23 6 7 10 28:48 25
პამენლინა	23 6 6 11 20:43 24
იოკერიტი	23 6 5 12 25:36 23
კტპ	22 6 2 14 26:46 20
კუოპიო	23 4 5 14 24:51 17

არგენტინა

არგენტინა	
პარტურა VII ტური	
ოლიმპო — ინდეპენდენტე 0:2; სან ლორენსო — ესტუდიანტესი 1:1; კოლონი — ოლდ ბოიზი 1:1; ჩაკარიტა — რასინგი 0:0; ბანფილი — კილმესი 2:1; ბოკა ხუნიორსი — ლანუსი 0:0; არსენალი — რივერ პლეტი 1:1; ველესი — ტალიერესი 2:1; ხიმნასია — ნუევა მიკაო 0:2; როსარო — ატლეტიკო 2:1	
ბოკა ხუნიორსი	6 5 1 0 14:2 16
ინდეპენდენტე	7 3 4 0 9:4 13
ოლდ ბოიზი	7 3 3 1 9:5 12
როსარო	7 3 3 1 11:11 12
კოლონი	7 2 5 0 11:5 11
ბანფილი	6 3 2 1 8:2 11
ატლეტიკო	7 3 2 2 10:7 11
სან ლორენსო	7 3 2 2 8:5 11
არსენალი	7 2 4 1 6:5 10
კილმესი	7 2 3 2 10:8 9
ჩაკარიტა	7 2 3 2 5:8 9
რასინგი	7 1 5 1 7:9 8
ესტუდიანტესი	7 1 4 2 5:5 7
ლანუსი	7 0 6 1 5:7 6
რივერ პლეტი	7 1 3 3 6:11 6
ტალიერესი	7 1 3 3 8:15 6
ნუევა მიკაო	7 1 2 4 7:11 5
ველესი	7 1 2 4 8:14 5
ხიმნასია	7 0 4 3 4:11 4
ოლიმპო	7 0 3 4 3:9 3

სარბიელის ჟურნალისტური გამოძიება

მამ ასე, წინა უქმეებზე ლონდონის ერთ-ერთ სასტუმროში 17 წლის გოგონა გაუპატიურეს. ბრალი შეიღწი ფეხბურთელს ედება, ოღონდ მათ ვინაობას არათუ პოლიცია, თვით ინგლისური გაზეთებიც არ ამხელენ. არადა, მათი გვარები რომ გვინტერესებს, მტკიცება რად უნდა.

მთელი რივი მიზეზების გამო, ცხელი კვალის ლუპით თვალიერების და სხვა სამძებრო ქმედებების ჩატარების საშუალება ჩვენ არ გვაქვს. მხოლოდ ის შეგვიძლია,

რომ სავარაუდოდ კარგად მოვკალათდეო, (ჩიბუხის გაბოლბაც დასაშვებია) და მისტერ შერლოკ ჰოლმსს მივბაძოთ — დედუქციის მეთოდი გამოვიყენოთ.

ვიცით, რომ გამაუპატიურებელი ფეხბურთელები პრემიერლიგის გუნდში თამაშობენ და ეს ამბავი ლონდონში მოხდა. ანუ, გუნდი ან ლონდონურია, ან წინა კვირაში ლონდონში უწევდა თამაში. ასეთები არიან: „არსენალი“, „ჩელსი“, „ფულემი“, „ჩარლტონი“, „ტოტენჰემი“ (ლონდონური კლუბები) და „ნიუ-



ბეშიქ-ტაშ, ტაშ, ტაშ!

მთი ახვლედიანი
ლონდონიდან

სტამბოლურ ბრიჯის თაშუა

საქართველოს დროშა ფრიალავს

ახლა ვერ მოვეყვები, მაგრამ რასან ჩვენებური ამბავი იცით, მოდი, ერთი ცნახოთ, როგორ მიმდინარეობს ეს რუსული რევოლუცია-მეთქი და კაი ძველი ნაცნობივით გავესწიე „სტემფორდ ბრიჯისკენ“. გამეგონა კია, რომ რაღაც ახლებური ამბები ხდება იქაო და ახალ „ჩელსის“ რომ თამაში არ წაეგო, ესეც მოგეხსენებათ. თანაც ბილეთები იოლას იყო, ჩემპიონთა ლიგაა, ვილაცა „ბეშიქთაშია“ და როცა „ლაციოსთან“ თამაშის ბილეთები ამდენი ხნის გაყიდულია, „ბეშიქთაშზე“ ვინა დაიხარავდებოდა. აქ ადრეც ვყოფილვარ, მაგრამ იმ „ჩელსიდან“ კულჩინი, ჯიმი და დენისი თულა ვიცანი მთელვანზე. თურქები ორ სექტორში შეჯარულან და ღრიალებენ. კარგა კობტათა ცრის.

ახლა უნდა დაიწყოთ თამაში და ხომ იცით ჩემპიონთა ლიგა როგორც არის? ბავშვებმა მოედანზე გაფენილი ბურთი უნდა ააფრიალონ მუსიკის ქვეშ, შეჯიბრების ჰიმნი დასცნონ და მთელი ამბავი დასცნეს ეს ჰიმნი, დავსხედით და დაიწყო ახალი მუსიკის აკორდებიც. გამეგონა კი და არ მეჯერა, წამოიშალა ისე ხალხი და მარტო ხომ არ იჯდები? რაც გამეგონა ის იყო, კალინკას უკრავენ. უკრავენ და მღერის მიკროფონში კაცი თავგანწირვით და საჭირო ადგილებზე მთელი სტადიონის მოსხუბილი ტაში მოჰყვება. კაი სასმენია, რო-

გორც ფანური სიმღერა, მაგრამ აღარ თავდება და არის კალინ, კამალინ, კამალინ, კამალინ და ვხედავ ყველა ერთ მხარეს იყურება ამდენ ლურჯ ქუდსა და მასურაში ჩაცმული და ტაშს ერთ ადგილს უმიზნებს ავიხედე მაღლა ჩემი დასავლეთ ტრიბუნის პირველი იარუსიდან და გადმომდგარა თავისი ლოჯიდან მისტერ აბრამოვიჩი, გვიქნევს ხელს ყველას გვესალმება ლაღად და ღიმილით, აქეთაც იქეთაც.

ადრე კლუბის უფროსობა აღმოსავლეთზე იჯდა „სტემფორდ ბრიჯზე“, ახლა სხვა დროა, ეგებ ბებური ბეიტსი ისევე ძველ ადგილას იჯდა, იმას ვინდა უყურებს.

„ჩელსის“ ფანობა ალაღად უკრავდა ტაშს, ისე ალაღად, როგორი ქომავობაც იცის. ამ ტაშისცემამში კიდევ „ბეშიქთაშმა“ ორი გოლი გაიტანა, „ჩელსიმ“ კი ვერცერთი. იცით, როგორი თამაში იყო, „დინამოზე“ რომ იყო ხოლმე ძველად, პირველივე წუთიდან რომ დაატყობ, ჩვენები ვერ მოიგებენ, ვთქვათ მინსკელებთან, დაკეტილი რომაა და შენც რომ ვერ ირჯები მაინცდამაინც კარგად.

მე კი კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ყველა გულშემატიკივარი ერთნაირია. ჩემს გვერდით, ბიძამ იოლად დაატყო თამაშის ამბავი და

მეოცე წუთიდან ტაიმის ბოლომდე ყვიროდა, გაიყვანე ვერონიო, გაიყვანე კრესპო. ბოლოსკენ მხოლოდ ერთი განწირული უწლოვანი არ დადუმდა, მიდით, მიდითო, კიოდა და მერე ბიაკაცმა უთხრა, რაღას მივიდნენ, აწი ჩვენ უნდა მივიდეთ, მეტროში იოლად რომ ჩავვდეთო.

დიდად არ უნაღვლიათ ეს წაგება, უცხოელებთან თამაშს აქ მაინც არა აქვს ისეთი გემო, როგორიც შინაურებთან ბრძოლას.

მე ჩემი საბჭოთა აზრით ვიფიქრე, რომ სადაც კალინკაა, იქ კაი არაფერი ხდებოდა. გამეგონა კია, მაგრამ არა მეჯეროდა.

საქართველოს დროშა კი კვლავ ფრიალებს „სტემფორდ ბრიჯის“ სახურავზე. იქ ხომ ვისაც უთამაშია, ყველა იმ ქვეყნის დროშა გამოფენილი. ცოტა გვერდით ჩაუწევიათ, მაგრამ მაინც არის.

ქვემოთ კი წარწერაა, თვალი არ მოუხუჭო რასიზმს.

მერე ისევ წვიმდა დ ცხენოსანი პოლიცია მეტროს შესასვლელებს კეტავდა.

ესეც დავადგინე, რომ კალინკა კარგა გვარიანი დამქოქავიც ყოფილა.

თუმცა კრესპო, მუტუ, ჯიმი და დემიენ დაფი რომ ცალ-ცალ ტაიმს გაიყოფენ, რომელიღაცამ კი უნდა მოარტყას კარში.

ასეთი რამესაც წაიკითხავ კაცი ამ შუა უცხოეთში: „ჯონ ზე რაშენ რევოლუშენ ეთ სტემფორდ ბრიჯ“. ჩვეულებრივი, თითქმის სარეკლამო განცხადებაა — გულშემატიკივარო, შემოუერთდი

რუსულ რევოლუციას „ჩელსის“ ბანაკშიო და მერე რაღაც ამბებს და საშუალებებს ჩამოთვლიან.

ესე იგი, ჩვენ ქართველები ერთხელ ხომ შევეუერთდით რუსულ რევოლუციას და რაც მოხდა, იმას

გადაბიწული ამ ჩემს მკლავებს... შიმაჰის ტყუილს სავსე მართლი და გრძელი ფეხები აქვს

იან შიმაჰი პირველად რომ გაუჩინარდა, ივლისი იყო. „ლევერკუზენიდან“ „ჰანოვერში“ გადასულ ჩეხ ფეხბურთელს ეშმაკი (ალბათ ქალი) შეუჩნდა. შუა ზაფხულში გუნდი შეკრებაზე წავიდა. ერთ ჩვეულებრივ დილას სავარჯიშოდ გასულ ფეხბურთელებში მწვრთნელმა შიმაკი ვერ იპოვა. ეძებეს, ტელეფონი აუფეთქეს, ნაცნობ-მეგობრებში მოიკითხეს, მაგრამ ვერსად მიაგნეს. მოგვიანებით თვითონ გამოჩნდა.

მაშინ ეს ამბავი ჰანოვერელებმა მიჩქმალეს და ჩეხს აპატიეს, მსგავსი აღარ განმეორდესო. შიმაკი მოჰკვიანდა, ოღონდ დროებით. ბუნდესლიგის მეექვსე ტურის მატჩის („ჰანოვერი“ — „ვალდბახი“) შემდეგ იგი ისევ გაქრა, ამჯერად 5 დღით. ფეხბურთელს ქალი (ალბათ ეშმაკი) გაახსენდა. საკუთარ „მერსედეს 500 SL“-ში ჩამჯდარა და ჩეხეთის საზღვრისკენ გაუჭვინებია. მწვრთნელი რაღაც რანგნიკი და თანაგუნდელელები ხუთი დღის განმავლობაში ამოდ ეძებდნენ. ტელეფონი ისევ აუფეთქეს, ახლომახლოც მოიკითხეს, მაგრამ უშედეგოდ.

მოგვიანებით, როგორც ეს ივლისში მოხდა, დაბრუნდა. ჩემი წასვლის მიზეზი მოულოდნელად მოზღვაებული დეპრესია იყო, რომელსაც ვერ გავუძელი და შევბას

სამშობლოში ვეძებდიო, უთქვამს ფეხბურთელს.

ეს შიმაკის ვერსიაა და სავსებით სარწმუნო, თუმც მისი ახლო მეგობრები ეჭვობენ, რომ ამ საქმეში ქერათმანი ლამაზმანია გარეული.

ჩეხის ერთ-ერთი ძმაცაცის თქმით, მისი დეპრესირებული მეგობარი იმ ხუთი დღის მანძილზე 22 წლის პირმშვენიერ გოგონასთან იქარვებდა დარდებს. შიმაკის ტვინი ქალმა (თუ ეშმაკმა) ისე აამღვრია, რომ, ფეხბურთის თავს ვანებებო, მწვრთნელისთვის უთქვამს (დიდ ავიაციამ დაბრუნება გადაწყვიტა).

ტყუილს ამ შემთხვევაში მოკლე კი არა, გრძელი ფეხები ჰქონია. გერმანულმა „ბილდმა“ დეპრესიის მიზეზს მიაგნო. 22 წლის მოდელ ღორინს იან შიმაკი ისე ძალიან ჰყვარებია, რომ გახეთ „ბილდის“ პირველი გვერდიდან თავის მკლავზე უხმობს.

ეს გოგო, როგორც ჩანს, ფეხბურთელზე გადარეულია და ისიც გააგიჟა. მისი თქმით, „ღორინ-შიმაკის“ წყვილი ერთმანეთს ყველა პარამეტრებით თითქმის იდეალურად ერწყმის და ვერ გაუვია, კაცი რატომ აღარ აკითხავს.

„იანი საწოლში უზადოა, მაგრამ მთავარი ეს არაა, იგი ნამდვილი მამაკაცია, მგრძობიარე და თან ისეთი, ჩემი ბედი ნამდვილად რომ აღე-




ლევებს. გარდა ამისა, მას ჩემს სხეულზე დანატული სვირინგი ძალიან მოსწონდა და ნუთუ მისი ნახვა არ მოუნატრა? იან, დაბრუნდი! „იი, ასე უხმობს ღორინი სატრფოს „ბილდის“ ფურცლიდან.

ერთმანეთი უყვართ, მაგრამ ამ კარუსელში მესამე, ანუ ზედმეტი კაცია გაჩხერილი. უფრო სწორად, ზედმეტი კი არა მთავარი, ანუ ღორინის კანონიერი ქმარი, მაგრამ ქალს ეს სულაც არ აღელებს. „იანმა რომ მოხოვოს, ქვეყნის კიდემდე გავყვები“ — აღმოხდა ქერა ლამაზმანს.

იან შიმაკი არ ჩანს. როგორც ამბობენ, დეპრესიის გამო გუნდის ექიმმა იგი თავის ფსიქოლოგ კოლეგასთან წაიყვანაო. სედიანი ისტორიაა, არა?

გაბა ხუციშვილი



ეს ქალი კი გადარევიდა ამ კაცს

იზაღია

ვაჟენა
კაფია



კრისტინ ვიერი „სამილანო“ მზად არის

ყურადღება! ლაპარაკობს და უჩვენებს სან სირო!

V ტური	
საჯალ	
ანკონა	— უდინეზე
პაპოლი	— პოლინა
ონტარი	— მილანი
იუვენტუსი	— ბოლონია
ლაციო	— კიევი
ლენა	— ბარეზა
პარმა	— საპელონია
პერუჯა	— რაპინა
სიენა	— რომა

სადღეისო ვითარება	
რომა	4 3 1 0 12:3 10
იუვენტუსი	4 3 1 0 11:4 10
მილანი	4 3 1 0 8:2 10
პარმა	4 2 2 0 9:5 8
ინტერი	4 2 2 0 3:0 8
ლაციო	4 2 1 1 10:7 7
კიევი	4 2 1 1 8:5 7
სიენა	4 1 2 1 7:4 5
სამპდორია	4 1 2 1 5:5 5
ბოლონია	4 1 1 2 5:6 4
მოდენა	4 1 1 2 3:4 4
უდინეზე	4 1 1 2 2:4 4
რეჯინა	4 0 3 1 7:9 3
ლენე	4 1 0 3 5:10 3
ბრეშა	4 0 2 2 6:12 2
პერუჯა	4 0 2 2 4:10 2
ემპოლი	4 0 2 2 4:12 2
ანკონა	4 0 1 3 2:9 1

ბასულ სეზონში მილანის გუნდები ყოველწლიური ნორმის გარდა „ზეგემიურად“ შეხედნენ ერთმანეთს — ფორტუნამ „ინტერსა“ და „მილანს“ ჩემპიონთა თასის ნახევარფინალშიც გადაუკვეთა გზები. „მილანმა“ იმპლაურა ისევე, როგორც ნორმირებულ, სერია A-ს შეხვედრებში, რომლებიც ერთნაირი ანგარიშით, 1:0 მოიგო. საერთოდ, ბოლო ხანს „მილანი“ უფრო ბრწყინავს, მაგალითად, „ინტერს“, როგორც მასპინძელს, „მილანისთვის“ 1998 წლის შემდეგ არ მოუგია და ისიც თასის თამაში იყო, მაგრამ...

„დღეს ჩვენ უფრო ძლიერები ვართ, რადგან ჩვენი გუნდი უფრო სრულყოფილია, — ამბობს „მაელურეჯის“ არგენტინელი კაპიტანი ზაიერ მანელი — შემაღვენლობაში თითო პოზიციაზე ორი მოთამაშე გვყავს, ანუ ჩვენი არჩევანი უფრო მდიდარია. მერწმუნეთ, ჩვენარი ბიჭები დიდი შედეგების

მიღწევა შეიძლება. ასეთი ერთსულოვნებაც ადრე არასდროს მინახავს და ეს ძალიან მნიშვნელოვანია“.

„ინტერის“ სასარგებლოდ ისიც მეტყველებს, რომ იტალიელი ვარსკვლავი, კრისტინ ვიერი გამოჯანმრთელდა და მოედანზეა — გაიხსენეთ მისი გამარჯვების გოლი კიევის „დინამოსთან“ ოთხშაბათის შეხვედრაში. ის ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მეორე ტურის მატჩი იყო.

ვინ არ ეყოლება ექტორ რაულ კუპერს? მარკო მატერაცი და დანიელე ადანი, ანუ მცველები. შეგახსენებთ, რომ „ინტერს“ წინა ოთხ ტურში გოლი არ გაუშვია.

„მილანს“ ფილიპო ინსაგი დაუბრუნდა და თავდასხმაში ანდრე შეჩენკოს შეუწყვილდება. რაც შეეხება ნახევარდაცვის აწყობას, აქ მწვრთნელს, კარლო ანჩელოტის დაფიქრება მოუწევს. ბრაზილიელი კაკას თამაში ოთხშაბათის ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში, ვიგოში „სელტას“ წინააღმდეგ, დიდად მოსაწონი არ ყოფილა, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ანჩელოტიმ იგი რუი კოშტას ამჯობინოს. რივალდო, რომლის წასვლა-დარჩენის ამბავიც გასულ კვირაში დიდი ინტერესის საგანი გახლდათ, ალბათ, ძველებურად სკამზე ჩამოჯდება.

„იუვენტუსი“ „ბოლონიას“ ისევ ისე უმასპინძლებს, როგორც სამშაბათს, ჩემპიონთა ლიგაში ათენში, „ოლიმპიკოსს“ მოუგო — პაველ ნედვედი დავიდ ტრეზეგეს და მარკო დი ვაიოს შემტევი წყვილის უკან. „ბოლონია“ კი ამ სეზონში ჯერჯერობით აზრზე ვერ მოდის და არ არის გამორიცხული, მწვრთნელმა, კარლო მაცონემ ნახევარდაცვაში ტომას ლოკატელი ათამაშოს.

ლიდერი „რომა“ სიენაში მიდის. „სიენა“ სერია A-ში ოთხი ახალასულიდან ყველაზე ყოჩაღია და გულში იმედი უდიტინებს, რომ ფაბიო კაპელოს ნაქებ რაზმს გამოცდას მოუწყობს. „რომაში“ ყველაფერი რიგზეა.

და, რაკილა „რომა“ სტუმრად თამაშობს, „სტადიო ოლიმპიკოზე“ „ლაციოს“ ვიზილავთ — რობერტო მანჩინის რაზმი „კიევის“ უმასპინძლებს. „ლაციოში“ დემეტრიო ალბერტინის გრაბი შეეყარა, ასე რომ, ნახევარდაცვის შუაში ფაბიო ლივერანის ვიზილავთ. „კიევი“ წინა კვირას „პერუჯას“ 4:1 ისე მოუგო, რომ ეჭვი არაა, „მფრინავი ვირები“ ისევ ძლიერ სეზონს ჩაატარებენ.


ინგლისი

პრემიერლიგა

ბეზბელი ქლახიდან დაბრუნდა

VIII ტური	
დღეს	
შუალაი	— ლესტერი
ლიდსი	— ბლახპერი
ლივერპული	— არსენალი
მანჩესტერი	— ბირმინგემი
ნოუკასლი	— საუთჰემპტონი
პორტსმუთი	— ჩარლტონი
ტოტენჰემი	— ვერტონი
ვულვზი	— სიტი
წავალ	
მიდლსბრო	— ჩელსი
ასტონ ვილა	— ბოლტონი

სადღეისო ვითარება	
არსენალი	7 5 2 0 14:5 17
ჩელსი	6 5 1 0 16:6 16
მანჩესტერი	7 5 1 1 13:3 16
ბირმინგემი	6 4 2 0 8:2 14
სიტი	7 3 3 1 14:8 12
საუთჰემპტონი	7 3 3 1 8:4 12
ფულემი	6 3 2 1 13:9 11
ლივერპული	7 3 2 2 11:7 11
პორტსმუთი	7 2 3 2 9:7 9
ვერტონი	7 2 2 3 12:11 8
ბლექბერნი	7 2 2 3 14:14 8
ჩარლტონი	7 2 2 3 10:11 8
ასტონ ვილა	7 2 1 4 7:11 7
მიდლსბრო	7 2 1 4 6:12 7
ბოლტონი	7 1 4 2 5:11 7
ლესტერი	7 1 2 4 10:13 5
ტოტენჰემი	7 1 2 4 5:12 5
ლიდსი	7 1 2 4 6:16 5
ნიუკასლი	6 0 3 3 7:10 3
ვულვზი	7 0 2 5 2:18 2



სტივ ბრიუსი „ოლდ ტრეფორდზე“ ბრუნდება

მერა რა, რომ „ლივერპული“ მერვე ადგილზეა, ანუ შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ „ლივერპულისა“ და „არსენალის“ დღევანდელ შეხვედრას ამით რამე დააკლდება.

18.00	5345	სიენა-რომა	1,65
21.00	5346	პერუჯა-რეჯინა	1,7
23.30	5347	ინტერი-მილანი	1,6
20.00	5348	ვალენსი-რასინგი	1,7
20.00	5349	მალაგა-სელტა	1,65
20.00	5350	მალიორკა-ოსასუნა	1,7
20.00	5351	მურსია-ალბასეტე	1,7
20.00	5352	სოსიედადი-სევილია	1,7
22.00	5353	რეალი-ესპანიოლი	1,8
00.30	5354	ბარსელონა-ვალენსია	1,6

რომელი გუნდი გავა მატჩში გოლი					
		I-ში	თანაბრად II-ში		
4 ოქტომბერი					
16.30	5517	ლივერპული-არსენალი	3,0	2,8	2,0
19.00	5518	ფულემი-ლესტერი	3,0	2,8	2,0
19.00	5519	ლიდსი-ბლექბერნი	3,0	2,8	2,0
19.00	5520	მანჩესტერი-ბირმინგემი	3,0	2,8	2,0
19.00	5521	ნოუკასლი-საუთჰემპტონი	3,0	2,8	2,0
19.00	5522	პორტსმუთი-ჩარლტონი	3,0	2,8	2,0
19.00	5523	ტოტენჰემი-ვევერტონი	3,0	2,8	2,0
19.00	5524	ვულვერპემპტონი-სიტი	3,0	2,8	2,0
18.30	5525	შტუტგარტი-კიოლნი	3,0	2,8	2,0
18.30	5526	პამპურგი-მიონხენგლადბახი	3,0	2,8	2,0
18.30	5527	ბაიერნი-პერტა	3,0	2,8	2,0
18.30	5528	ანტრახტი-დორტმუნდი	3,0	2,8	2,0
18.30	5529	პანოვერი-შალკე	3,0	2,8	2,0
18.30	5530	ფრაიბურგი-მიუნხენი	3,0	2,8	2,0
18.30	5531	ბოხუმი-კაიზერსლაუტერნი	3,0	2,8	2,0
22.30	5532	დემპორტიფიკაცი-ატლეტიკო	3,0	2,8	2,0
22.30	5533	ვილიარეალი-სარაგოსა	3,0	2,8	2,0
00.30	5534	ბეტისი-ბილბაო	3,0	2,8	2,0
5 ოქტომბერი					
18.00	5535	მიდლსბრო-ჩელსი	3,0	2,8	2,0
20.05	5536	ასტონ ვილა-ბოლტონი	3,0	2,8	2,0
20.30	5037	ლევერკუზენი-პანზა	3,0	2,8	2,0
20.30	5538	ვერდერი-ვოლფსბურგი	3,0	2,8	2,0
18.00	5539	ანკონა-უდინეზე	3,0	2,8	2,0
18.00	5540	ემპოლი-მოდენა	3,0	2,8	2,0
18.00	5541	იუვენტუსი-ბილიონია	3,0	2,8	2,0
18.00	5542	ლაციო-კიევი	3,0	2,8	2,0
18.00	5543	ლენე-ბრეშა	3,0	2,8	2,0
18.00	5544	პარმა-სამპდორია	3,0	2,8	2,0
18.00	5545	სიენა-რომა	3,0	2,8	2,0
21.00	5546	პერუჯა-რეჯინა	3,0	2,8	2,0
23.30	5547	ინტერი-მილანი	3,0	2,8	2,0
20.00	5548	ვალენსი-რასინგი	3,0	2,8	2,0
20.00	5549	მალაგა-სელტა	3,0	2,8	2,0
20.00	5550	მალიორკა-ოსასუნა	3,0	2,8	2,0
20.00	5551	მურსია-ალბასეტე	3,0	2,8	2,0
20.00	5552	სოსიედადი-სევილია	3,0	2,8	2,0
22.00	5553	რეალი-ესპანიოლი	3,0	2,8	2,0
00.30	5554	ბარსელონა-ვალენსია	3,0	2,8	2,0

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2	
4 ოქტომბერი											
16.30	5117	ლივერპული-არსენალი	3,8	10,0	20,0	4,6	4,4	4,8	20,0	10,0	4,0
19.00	5118	ფულემი-ლესტერი	2,4	10,0	20,0	3,5	4,4	8,0	20,0	10,0	7,5
19.00	5119	ლიდსი-ბლექბერნი	3,6	10,0	20,0	4,4	4,4	4,8	20,0	10,0	4,0
19.00	5120	მანჩესტერი-ბირმინგემი	1,6	15,0	30,0	3,5	5,3	15,0	30,0	15,0	15,0
19.00	5121	ნოუკასლი-საუთჰემპტონი	2,5	10,0	20,0	3,5	4,6	8,0	20,0	10,0	7,0
19.00	5122	პორტსმუთი-ჩარლტონი	2,8	10,0	20,0	3,8	4,4	6,5	20,0	10,0	5,6
19.00	5123	ტოტენჰემი-ვევერტონი	3,2	10,0	20,0	4,0	4,4	6,0	20,0	10,0	5,3
19.00	5124	ვულვერპემპტონი-სიტი	5,3	10,0	20,0	6,0	4,4	4,0	20,0	10,0	3,0
18.30	5125	შტუტგარტი-კიოლნი	1,7	15,0	30,0	3,5	5,0	14,0	25,0	12,0	12,0
18.30	5126	პამპურგი-მიონხენგლადბახი	2,3	10,0	20,0	3,5	4,6	8,0	20,0	10,0	7,5
18.30	5127	ბაიერნი-პერტა	1,8	15,0	30,0	3,5	3,8	12,0	25,0	12,0	12,0
18.30	5128	ანტრახტი-დორტმუნდი	5,3	10,0	20,0	6,0	4,6	4,0	20,0	10,0	3,1
18.30	5129	პანოვერი-შალკე	3,3	10,0	20,0	4,4	4,4	5,6	20,0	10,0	4,6
18.30	5130	ფრაიბურგი-მიუნხენი	3,4	10,0	20,0	4,4	4,4	5,3	20,0	10,0	4,6
18.30	5131	ბოხუმი-კაიზერსლაუტერნი	3,4	10,0	20,0	4,4	4,4	5,3	20,0	10,0	4,6
22.30	5132	დემპორტიფიკაცი-ატლეტიკო	2,0	12,0	25,0	3,5	4,6	10,0	20,0	10,0	10,0
22.30	5133	ვილიარეალი-სარაგოსა	2,4	10,0	20,0	3,5	4,4	8,0	20,0	10,0	7,5
00.30	5134	ბეტისი-ბილბაო	2,8	10,0	20,0	3,8	4,4	7,0	20,0	10,0	6,0
5 ოქტომბერი											
18.00	5135	მიდლსბრო-ჩელსი	6,5	10,0	20,0	7,5	4,6	3,6	20,0	10,0	2,6
20.05	5136	ასტონ ვილა-ბოლტონი	2,4	10,0	20,0	3,5	4,4	8,0	20,0	10,0	7,5
20.30	5137	ლევერკუზენი-პანზა	1,8	12,0	25,0	3,5	4,8	12,0	25,0	12,0	12,0
20.30	5138	ვერდერი-ვოლფსბურგი	2,6	10,0	20,0	3,6	4,6	7,5	20,0	10,0	6,5
18.00	5139	ანკონა-უდინეზე	4,6	10,0	20,0	5,3	4,4	4,4	20,0	10,0	3,6
18.00	5140	ემპოლი-მოდენა	3,1	10,0	20,0	4,0	4,4	6,5	20,0	10,0	5,6
18.00	5141	იუვენტუსი-ბილიონია	1,6	15,0	30,0	3,5	5,0	17,0	30,0	15,0	15,0
18.00	5142	ლაციო-კიევი	2,2	10,0	20,0	3,5	4,6	10,0	20,0	10,0	10,0
18.00	5143	ლენე-ბრეშა	3,0	10,0	20,0	4,0	4,4	6,5	20,0	10,0	6,0
18.00	5144	პარმა-სამპდორია	2,3	10,0	20,0	3,5	4,4	10,0	20,0	10,0	9,0
18.00	5145	სიენა-რომა	6,5	10							

საუკეთესო პროგნოზის კონკურსი „შახუპროსი 2003-2004“

საუკეთესო პროგნოზის კონკურსი „შახუპროსი 2003-2004“ - ის დაჯილდოება და მასში მონაწილეობის წესები

Form with fields for name, address, and phone number. Includes a stamp: 'რეზუალტის კონკურსის დაჯილდოების ბოლო ვადაა 10.10.03'.

Table with 4 columns: No., Date, Forecast, and Prize. Lists various forecasts and their corresponding prizes.

Table with 4 columns: No., Date, Forecast, and Prize. Lists various forecasts and their corresponding prizes.

ყურადღება! საკონკურსო ბიულეტენების ჩაბარება შეიძლება 11 ოქტომბერს 17 საათამდე ტოტალიზატორ „ტაიმში“, მის ფილიალში და გაზეთ „ახალი ვერსიის“ რედაქციაში (მხოლოდ 11 ოქტომბერს)

Section titled 'მომდევრო კვირის კალენდარი' (Next week's calendar) listing dates and events.

Section titled 'ყურადღება! სთასო შეხვედრები მხატვრობაში' (Attention! Meetings in art) listing dates and locations.

Table with 3 columns: No., Name, and Phone Number. Lists names and contact information.

Main text area containing rules and regulations for the competition, including prize details and contact information.

საქართველოს ჩემპიონატი

ერთი პერსონის ჭიკჭიკი გაზაფხულს მოიყვანდა? აღამიანი იმედით ცოცხლობს, ქართული კალათბურთი...

ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველი კია, მაგრამ ჩვენ მაინც გვინდა, იმის იმედი გვქონდეს, რომ ახალი საკალათბურთო ჩემპიონატი უწინდელზე უკეთესი იქნება. დღეს

საქართველოს მორიგი, მე-13 ეროვნული პირველობა იწყება და ჩვენ მხოლოდ იმედიანობას ვითხოვთ, რადგან ვიცით, რომ დანერგული ნაუცბადევედ არ ამენებულა და ქართული კალათბურთი მით უმეტეს...



ვისთვის დაინახება მე-13 ეროვნული?

ქართული ჩემპიონატის სიძლიერე მის მონაწილეთა მარიფათშია. პოდა, ამას წინათ იმედი მართლაც ჩაისახა, როცა დიდი შეძლების ბიზნესმენსა და თბილისის „დინამოს“ შეპატრონე ბადრი პატარკაციშვილს ხორვატიიდან ნაქები მწვრთნელი დრაჟენ ბრაიკოვიჩი ჩამოუყვანეს. დიდი გეგმები მოიხაზა მაშინ: ლეგიონერების ჩამოყვანა, ფიბა-ევროპის ჩემპიონთა თასზე მონაწილეობა ერთი სიტყვით, „დინამოს“ ძველი დიდების აღდგენა. მხოლოდ რეგენს თუ არ გაახარებდა, ეს ამბავი, „დინამოს“ ევროყაიდაზე გარდაქმნა ხომ თავისთავად კარგი იქნებოდა, ეროვნულ ჩემპიონატსაც არგებდა, მაგრამ იმედი მაღევე ჩაკვდა, „დინამოს“ აღორძინების გეგმა, ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე, ლამაზი ზღაპარი აღმოჩნდა. „დინამო“ თუ გაძლიერდა, არა ისე, რომ ევროპაში გაილალოს. ის კი არა, შიდა ჩემპიონატშიც მოუძრაველად კონკურენტები და ჩემპიონობის შესანარჩუნებლად გვარიანი ჭაპანწყვეტა ელის.

ჩემპიონობის მაძიებლები ახლა უფრო მრავლად არიან, ვიდრე წინა სეზონში. დუდუ დადიანის თასის მოძებნები „სტუ-ჯეოსელი“ გვარიანად მოძლიერდა „ბასკო-დაწ“ გადამბრებული ზვიად ბაბიაშვილით, „დინამოში“ დაწუნებულმა არმენ ოგანესიანმაც გაამარა ტექნიკოსთა ფარქვეშეთი, შიო ხეცურიანი კი ალბათ კარიერის პიკზეა და სტუ-ელთა დაცვის ბურჯობასაც იოლად იკისრებს. ნუგზარ ჭეიშვილის გუნდმა ჩემპიონ „დინამოს“ ხელიდან გამოსტაცა დუდუ დადიანის თასი და ჩემპიონობისკენაც რომ გაიწიოს, ვინ დაუშლის? „დინამოს“ და სტუ-სთან ერთად, ცხადია, პირველობა სწავლია სამგზის ჩემპიონ ბათუმის „ბასკოსაც“, რომელმაც საკუთარი სკოლის აღზრდილები შემოიკრიბა, წინა სეზონში „ქუთაისში“ რომ ჰყავდა განათხოვრებული. დავით იმნაძე, ბუბა კვიციანი და მამუკა ბოლქვაძე ხელს წააშველებენ ზღვისპირელებს, თანაც „ბასკოს“ საგულდაგულოდ შემოუნახავს განაცხადში ადგილები; ლეგიონერთა ჩამოყვანას თუ ეშურება...

არავის ჩამოყვანას არ გეგმავს თსუ, მაგრამ ჩემპიონობა მასაც სურს, როგორც ყოჩაღი დავით თორთლაძის, კახა შენგელიას, ამროსი ორმოცაძის, ირაკლი მაისურაძისა და არაერთი საიმედო ახალგაზრდის მყოფს. თანაც სტუდენტები დღე-დღეზე ელიან „კოკა-კოლას“ პრეზიდენტ თემურ ჭყონას, რომელსაც თსუ-ს სპონსორობა მოუწყვადინებია.

სპონსორის პრობლემა არ აწუხებს რუსთავის „ოზონს“, რომელმაც სწორედ სპონსორებს რომ არ სწყენოდანო, სახელად თმცკ დაირქვა. ესაა აბრევიატურა, რომელიც ქვემოქართლელთა ოთხი სპონსორის — „თუჯი“, „მადნეული“, „ცემენტი“, „კვარციტი“ — სახელწოდებათა პირველ ასოებს აერთიანებს.

რუსთაველებს „დინამოში“ არჩილ ულენტი წაართვა, სამაგიეროდ, ახლანაჲ ქვემოქართლელებმა ბრაიკოვიჩის დაწუნებული რევაზ ჩხეიძე შეიმატეს, რომელიც კარგად უნდა მოერგოს სუსტი დაცვის მყოფ ოთარ ხმელიძის გუნდს. შეტევაში ქვემოქართლელებს არ უნდა შეეკმნათ პრობლემები, რამაზ გოგობერიშვილი და ირაკლი ჯაფარიძე არც ისე დაბერებულან, ახალწამოჩიბულ კალათბურთელებს დაეჩაგვირინონ.

მხოლოდ ზემოთხსენებულ ხუთ გუნდს („ბასკო“, სტუ, თსუ, „დინამო“, „რუსთავი“) შორის გამართული მატჩები იქნება საყურებლად ვარგისი, თორემ ამათ რომ „მაკაბი“, სსუ ან „ქუთაისი“ შეხვდებოდნენ, მოწყენილობასთან საბრძოლველად რაიმე საშუალებების ძიება დაგჭირდებათ.


ცუდი სიახლე ისაა, რომ ჩემპიონატს ახალგაზრდული ხიბლი მოაკლდა „აკადემიის“ სახით. მართალია, ამ გუნდის ბიჭები ნაირგვარ კლუბებში გადნაწილდნენ, მაგრამ სულ სხვა ლაზათი ჰქონდა მათ ერთად ზილვას, დაღვინებულ ძლიერ მეტოქეს რომ დაამარცხებდნენ და ალალი, ბავშვური სიხარულით უხაროდან.

მამ ასე, დღეიდან ახალი ჩემპიონატი იწყება და ის იქნება ძველქართული, დაბალი დონის, ოღონდ უწინდელზე ოდნავ დამაინტრიგებელი მომრავლებული თანაბარდლოვანი გუნდების ხარჯზე. ჩვენ კი მაინც გვინდოდა, ხარისხიანი კალათბურთი გვენახა, მაგრამ ამის საშუალება არ გვაქვს და არც ის ვიცით, როდის გვექნება...

ირაკლი გიგინია

Table with columns for teams (მაკაბი, ქუთაისი, დინამო, სსუ, ბასკო, რუსთავი, თსუ) and player statistics (Year, Points, Rebounds, Assists).

Table titled 'XIII ეროვნული ჩემპიონატის პირველი ორის კალენდარი' showing match schedules and scores for various teams.





RUGBY WORLD CUP 2003

ავსტრალია 10 ოქტომბერი - 22 ნოემბერი

ახ. ზელანდიის
უელსი
იტალია
ბონგა
ხანადა


ახალი ზელანდია

დედაქალაქი
ვალინგტონი
 3,9 მილიონი მაცხოვრებელი
 36 000 მორაგბე

მსოფლიოს ტასაკუზა
 1987 - ფინალში მოუგო საფრანგეთს
 1991 - ნახევარფინალში წააგო ავსტრალიასთან, მესამე ადგილისთვის მოუგო შოტლანდიას
 1995 - ფინალში წააგო სამხრეთ აფრიკასთან
 1999 - ნახევარფინალში წააგო საფრანგეთთან, მესამე ადგილისთვის წააგო სამხრეთ აფრიკასთან

მე ვკვლავი! მე ვკვლავი!
 მე ვცოცხლო!
 მე ვკვლავი! მე ვკვლავი!
 მე ვცოცხლო!
 აი თმასური კაცი,
 რომელმაც მომიტანა მზე
 და აიძულა, კვლავ
 ბაბრწყინება უღიჟო!
 ნაბიჯი ზავით! კიდევ ზავით!
 ნაბიჯი ზავით!
 და კიდევ ზავით!
 და მზე ანათებს!
 კიი!!!

ასე ითარგმნება ლეგენდარული ახალ-ზელანდიური საბრძოლო ყიჟინა ჰაკა. წლების განმავლობაში სწორედ ამ სიტყვებით ეგებებოდნენ მრისხანე „შავები“ მეტოქეებს.



„შავე“ მოიერიშები ტანა უმაგა და დავ ჰაულეტი

ჩამოგვინალეთ!

შავ ხანიზალაბს

საშინლად მოვივდათ



ჰაკას წარმოშობის ლეგენდა ასეთია: დაახლოებით 180 წლის წინ მაორების ტომის ნგატი ტოას ბელადს ტე რაუპარაჰას (გამორჩეული ფიგურა მაორების ისტორიაში) მტრები გამოუდგნენ. რაუპარაჰა მოსავლისლის შესანახ ორმოში დაიმალა. ასე იყო დღემდე, სანამ ვიღაცამ ორმოს თავი გადახადა და წყვედიანი მზის სხივებით გაუნათდა. რაუპარაჰამ იფიქრა, რომ მტერმა იპოვა და სიკვდილისთვის გაემზადა, მაგრამ მკვლელის ნაცვლად მისი მეგობრის ბანჯგელიანი თავი დაინახა და სიხარულისგან იცეკვა. ამ ცეკვას ჰაკა დაერქვა და მას ლამის საუკუნენახევარი ასრულებდნენ აბორიგენი ახალზელანდიელები.

რა თქმა უნდა, თავიდან ჰაკას რაგბისთან საერთო არაფერი ჰქონდა, მაგრამ „შავებმა“

წინაპართა საბრძოლო რიტუალი მოედანზე გადაიტანეს და ამით მეტოქის დაშინებას ახერხებენ. 1989 წლიდან „შავებმა“ ჰაკას ტექსტი შეცვალეს და მასში მეტი ვერბალური მუქარა ჩადეს.

ალეწილი სახით და გაქვავებული მუშტებით ჩამწკრივებულ „შავებს“ წინ მათი „ბელადი“ უდგას, სწორედ ის არის მათი ყოჩი. ყველაზე ცნობილი „მეჰაკე“ ზელანდიელთა ცოცხალი ლეგენდა ზინზან ბრუკი იყო, ახლა კი „შავების“ ლაშქარს მათი ახალი კაპიტანი რუბენ სორნი იყოლიებს.

ვინ მოთვლის, რამდენ ლეგენდას შეუსრულებია ჰაკა — ჯონ ქირვანი, ჯონა ლომუ, ქრისტინა ქალენი, ენდრიუ მერთენსი... ქირვანი და ზინზან ბრუკი კარგა ხანია, დაემშვიდობნენ რაგბის, ხოლო ჯონა ლომუ

თირკმელების სენმა დატოვა ურაგბოდ. ქალენი და მერთენსი კი თავკაცმა ჯონ მიტჩელმა არ წაიყვანა ავსტრალიაში საომრად. თამამი ნაბიჯი იყო, სხვა დროს მიტჩელი შეიძლება ლინჩის წესით გაესამართლებინათ ზელანდიელებს, რომელთათვისაც რაგბი რელიგიის დონეზეა. ატირებულ ახალ-შობილსაც კი ლამის ოვალური სატყუარათი ააჩუყებენ.

ლომუს შესახებ კი ვის არ გსმენიათ. შეიძლება თამამად ითქვას, იგი დღესაც მსოფლიოში ყველაზე ცნობილი მორაგბეა. მაგრამ მისი სანაკრებო კარიერა უკვე დამთავრდა. „შავებში“ მისი ადგილი დღეს ტომით ფიჯელ ჯო როკოკოკოს დაუკავებია, რომელსაც „ლელოების მანქანას“ ემახიან, ქალენის მაგივრად კი დავ ჰაულეტი დაქრის. ამ ყოჩად ბიჭებს ზურგს არანაკლებ ყოჩადი მაილს მულიანია, აარონ მეიჯერი და ლეონ მაკდონალდი უმაგრებენ.

იქვეა „შავებს“ კოლორიტი, დალაღებიანი ტანა უმაგა და უბერებელი ჯასტინ მარშალი. მათმა თინიანობამ და ჯიგარმა ხალხს ლომუც დაავიწყა და ქალენიც. ახალ-ზელანდიაში ახალამობრწყინებული თაობისგან მხოლოდ ჩემპიონობას ითხოვენ, ითხოვენ და ალბათ მიიღებენ კიდევ. „ჩვენ ყველაზე მაგრები ვართ, ეს მსოფლიო ჩვენია. ინგლისი და ავსტრალია ძლიერები არიან, მაგრამ გზაზე ნუ დაგვიდგებიან, ჩვენ მათ გადავთვლავთ“ — ამბობს ახალზელანდიელთა ვიცე-კაპიტანი უმაგა და კუნთებს ახურებს. წინ დიდი ბრძოლებია, „კაციჭამია“ მაროები დამშუულები არიან — 16 წელია ჩემპიონები არ გამხდარან. მათთვის კი ჩემპიონობის გარდა ყველა სხვა შედეგი გულჩასაწყვეტი მარცხია.

მთავარი მწვრთნელი: ჯონ მიტჩელი
შერამინება: ჯერი კოლინზი, როდნი სოილო, რიჩარდ მაკქოუ, მარტი ჰოლანი, დენიელ ბრეიდი, რუბენ სორნი (კაპ), კრის ჯევი, ბრედ სორნი, ალი უილიამსი, ქიის მიიუსი, გრეგ სამერვილი, კევინ მიილამუ, მარკ ჰემეტი, კორი ფლინი, დევი ჰიუიტი, კარლ ჰოფტი
უკანა ხაზი: მაილს მულიანია, ლეონ მაკდონალდი, ბენ ბლერი, დავ ჰაულეტი, ტანა უმაგა, დენიელ კარტერი, მანა ნონუ, ქალენ რალოფი, ჯო როკოკოკო, აარონ მეიჯერი, კარლოს სპენსერი, ჯასტინ მარშალი, სტივ დივიანი, ბაირონ კელეპერი

კანადა

დედაქალაქი
ოტავა
 32 მილიონი მაცხოვრებელი
 15 000 მორაგბე

მსოფლიოს ტასაკუზა
 1987 — ჯგუფში ერთი გამარჯვება
 1991 — მეოთხედფინალში ახალ ზელანდიასთან დამარცხდა
 1995 — ჯგუფში ერთი გამარჯვება
 1999 — ჯგუფში ერთი გამარჯვება

მიშენადავად იმისა, რომ კანადაში სპორტის ძირითად სახეობებად ჰოკეი, ფეხბურთი და ამერიკული ფეხბურთია აღიარებული, ქვეყანაში რაგბისაც მოეხებება გულმემატკივარი. კანადაში პირველი სარაგბო მატჩი მაღიან დიდი ხნის წინ 1869 წელს მონრეალში გაიმართა, ხოლო რაგბის ფედერაცია 1929 წელს

რაგბის ყინულზე თამაშობენ

ჩამოყალიბდა, თუმცა შემდეგ ოვალური სპორტი ცოტა სხვა მიმართულებით, უფრო ამერიკული განხრით განვითარდა. შედეგად ყველაზე ზორბა და სხარტი კანადალები ამერიკული ფეხბურთისკენ უფრო იწვევენ, მით უმეტეს რომ ამერიკული ბურთაობის ზელიგაში ნულ-ში ფული „ხვინჭასავით ყრია“.

მაგრამ ქვეყანაში რაგბის ნაკლებად პოპულარობას სრულადაც არ შეუძლია ხელი იმისთვის, რომ „ნიკერჩხლის ფოთლები“ დღემდე გამართულ ოთხივე მსოფლიოს თასზე მოხვედრილიყვნენ. კანადელებმა საუკეთესო შედეგს 1991 წელს მიაღწიეს, როდესაც მეოთხედფინალში გაიგდნენ, სადაც დატბო-

რილ მოედანზე ახალ ზელანდიელებთან დამარცხდნენ.

კანადელი მორაგბეები არასოდეს არ გამოირჩეოდნენ სხვა საშუალო ნაკრებებისაგან. მათთვის წარმატებები ძირითადად „ნიკერჩხლის ფოთლების“ ფიზიკურ ძალას და მებრძოლს ხასიათს მოჰქონდა. გამორჩეული მოთამაშეები ძირითადად ქვეყნის საზღვრებს გარეთ ბურთობენ. ერთ-ერთი ასეთი „ნიკერჩხლის ფოთლი“ მე-10 ნომერი გარეთ რიისი იყო, რომელიც ინგლისის ჩემპიონატში არა ერთ ძლიერ გუნდში თამაშობდა.

ავსტრალიაში კანადელებს ჯგუფიდან გასვლის შანსი ნაკლებად აქვთ. მათი მთავარი მიზანი იტალიელებისა და ტონგელების და-

მარცხებაა. ისე დღეს „ნიკერჩხლის ფოთლები“ არცთუ ისე ცუდ ფორმაში არიან. დიდი ძალა საფრანგეთის ჩემპიონ „სტად-ფრანსეში“ მოპურთავე ევება მეორეხარული მაიკ ჯეიმისი, რომელსაც დიდებთან თამაშის არც გამოცდილება აკლია და არც მოგების უნა-

მთავარი მწვრთნელი: დევი კლარკი
შერამინება: რიან ბენქსი, ჯიმ დუგლასი, ადამ ვან სტავერენი, ელ შერონი (კაპ), ჯეფ რიდი, ჯემი კუდმორი, ჯოშუა ჯექსონი, კოლინ იაკი, მაიკ ჯეიმისი, ედ კანგსი, გერტ კუკი, როდ სნოუ, ჯონ ტილი, კევინ ტუარუკი, პეტ დანკლი, მარკ ლოუსონი
უკანა ხაზი: კვენტინ ფიფი, ჯეიმს პრიტარდი, უინსტონ სტენლი, შონ ფუთი, დევიდ ლუქიდი, მეტ კინგი, ჯონ ქენონი, ნიკ ვიტკოვსკი, ჯარედ ბარკერი, რიან სმიტი, ედ ფაირპურსტი, მარკო დი ჯიროლამო, მორგან უილიამსი, რობ როუზი



დედაქალაქი
პარაღიში
2,9 მილიონი მაცხოვრებელი
30 000 მორაგბე

მსოფლიოს თასეზაზა

- 1987 — ნახევარფინალში წააგო ახალ ზელანდიასთან; მესამე ადგილისთვის მოუგო ავსტრალიას
- 1991 — ჯგუფში ერთი გამარჯვება
- 1995 — ჯგუფში ერთი გამარჯვება
- 1999 — მეოთხედფინალში წააგო ავსტრალიასთან

უელსი

ნითელი დრაკონი საღვას გაფრინდა დარჩნენ მხოლოდ ტრადიციები, მოხუცები და გაფრთხილები

დაჯდებიან მალაოებიდან გამოსული უელსელი მუშები ყოველ საღამოს პაბებში და ლუდის სმაში ეროვნული სარაგბო ნაკრების თუ ქვეყნის შიდა ჩემპიონატის მატჩებს არჩევენ. მთლად ოხვრა კენსით არა, მაგრამ სა-მოქმედებარეული სინანულით კი იხსენებენ ძველ, ტკბილ დროებს, როცა ძირძველი უელსელი ერის საამაყე „წითელი დრაკონები“ ბრიტანეთის კუნძულებს აზანზარებდნენ და სარაგბო სამყაროს სხვა ნაწილებსაც არჩევენ. უელსთან თამაში მსოფლიოს ყველა გრანდს უჭირდა, მაშინ უელსი თავად იყო გრანდი.

შუპოვარ და დამრტყმელ უელსელებს 70-იან წლების ბოლოს და 80-იან წლების დასაწყისში მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ნაკრები ჰყავდათ. იმდროინდელი „წითელი დრაკონები“ გარეტ ელუარდსი, პიერ ვილიამსი, დერეკ ქვიპელი და კიდევ სხვები უელსის გარეთაც არ ავიწყლებათ. მათი კაპიტანი და ცხრა ნომერი გარეტ ელუარდსი მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო მორაგბედ არის აღიარებული. მაღლიერმა უელსელებმა მას ძველიც დაუდგეს კარდიფის ცენტრში.


80-იანი წლებიდან უელსის ნაკრებში თაობათა ცვლა დაიწყო და „წითელი დრაკონები“ თანდათან დაკარგეს მრისხანება, რაც მსოფლიოს თასებზე მათი გამოსვლებიდანაც ჩანს. 1987 წელს მსოფლიოს პირველ თასზე ისინი მხოლოდ ნახევარფინალში დამარცხდნენ

მომავალ ჩემპიონ ახალ ზელანდიასთან და მესამე ადგილისთვის ჯახში მძლავრი ავსტრალია დასცეს თასის მომდევნო ორ გათამაშებაზე კი ისინი ჯგუფიდანაც ვერ გავიდნენ.

უელსური რაგბის მამებმა რა არ იღონეს ძველი დიდების დასაბრუნებლად, ნაკრებში არაერთ სახელგანთქმულ მწვრთნელს უხმეს, თუმც უშედეგოდ. მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც უელსელმა მსხვილმა მეწარმეებმა რაგბიში ფულის ჩადება იწყეს, რაგბი ფერზე მოვიდა „წითელი დრაკონები“ შესაძენველად მოუმატეს. მათ შემადგენლობაში გამოჩნდნენ ახალზელანდიელები და ავსტრალიელები, რომლებიც ორმაგი მოქალაქეობის უფლებით სარგებლობდნენ. ერთ-ერთი მათგანი იყო ყოფილი „კივი“ შონ ჰოვარტი, რომელსაც „ოლბლექსის“ შემადგენლობაში არაერთი მატჩი ჰქონდა ჩატარებული.


უელსელთა თამაში ძირითადად ნაკრების მეომარ სულზე და მათი ლეგენდარული დამრტყმელის ნილ ჯენკინსის ჩუბინობაზე იყო დამოკიდებული. ჯენკინსს ნაკრების შემადგენლობაში ყველაზე მეტი ქულა აქვს მოპოვებული, მაგრამ მან ამ რამდენიმე თვის წინ დაამთავრა დიდი რაგბი და ნაკრების ამჟამინდელ თავკაც სტივ ჰენსონს საზრუნავი და საფეიქრალი მოემატა.

ავსტრალიაში „წითელ დრაკონებს“ ტრა-



დიციების კვალობაზე მოკრძალებული მიზანი დაუსახავთ, მხოლოდ ჯგუფიდან გასვლაზე აქვთ პრეტენზია. არც ესაა იოლი საქმე, კენჭისყრამ უელსელებს ჯგუფში ფავორიტ ახალ ზელანდიასთან ერთად კანადა, ტონგა და იტალია ჩაუსვა. ესენი ყველანი მხოლოდ მცირედით ჩამოუვარდებიან უელსს და გამორიცხული არაა, დაუგეგმავი მარცხები შეამთხვიონ. თანაც წლებიდან 6 ერზე უელსმა უკვე წააგო იტალიასთან.

მთავარი მწვრთნელი: სტივ ჰენსონი
შირაქინება: ჯონათან ტომასი, მარტინ უილიამსი, კოლინ შარვისი (კაპ), დევიდ ჯონსი, ალექს პოპამი, კრის უაიტი, გარეთ ლიველინი, რობერტ სიდოლი, ბრენტ კოქინი, გეთინ ჯენინსი, ადამ ჯონსი, დანკან ჯონსი, იესტინ ტომასი, რობინ მაკბრაიდი, პოუ ბენეტი, მეფინ დევისი
შპანა ხაზი: კევინ მორგანი, რის უილიამსი, გორან ვენსი, გარეთ ტომასი, მარკ ჯონსი, მარკ ტილორი, ტომ შანელინი, სონი პარკერი, იესტინ პარისი, ჯერი სვინი, სტივენ ჯონსი, დუეინ პილი, გარეთ კუპერი, შეინ უილიამსი



უელსის ლეგენდარული დამრტყმელი ნილ ჯენკინსი



დედაქალაქი
რომი
57 მილიონი მაცხოვრებელი
13 000 მორაგბე

მსოფლიოს თასეზაზა

- 1987 — ჯგუფში ყველა თამაში წააგო
- 1991 — ჯგუფში ყველა თამაში წააგო
- 1995 — ჯგუფში ერთი გამარჯვება
- 1999 — მერვედფინალში წააგო ინგლისთან

იტალია

ხარისხისმარა მისფრები

ბიჯონები და ჰომოსექსუალები არიანო. იტალიის ნაკრებს „სკუადრა აპურა“, „ცი-სფერი გუნდი“ კი ჰქვია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პირწმინდად ყველა იტალიელი არატრადიციული სექსუალური ორიენტაციისაა. აბა უთხარი მაჟორ ბერგამასკოს შეცისფერო. ხომ ჩაეინგრია ორივე ყბა. მე შენ გეტყვი და მოერიდება, მოედანზე აკეთებს ამას და მოედანს გარეთ ხომ ლაპარაკიც არაა. ისე, ამას წინათ მსოფლიოს თასის წინ ბოლო ტესტისას ჩვენებმა გვარია-ნად უბრაგუნეს იტალიელებს, მსაჯმა სამი კაცი გაგვიგდო და იტალიამაც მალევე სათავეს დაუდგინა მატჩი, ესე იგი ნაწრობითი პროვოკატორები არიან. კიდევ ის, რომ იტალიელთა პირველი ხაზი, ანუ ისინი, ვინც პირველები იღებენ მეტოქის დარტყმას და იქითაც პირველები აწევიან, სულ ხარისხურა და მუხლმგარი ბიჭები არიან. ექვსი ერის ვერცერთმა პირველმა ხაზმა ვერ ათრია იტალიელები. არადა ფრანგებს იბანეს და კრეკა ჰყავთ, ინგლისელებს ლეონარდი, ირლანდიას ვუდი, შოტლანდიას ბალოკი და სმიტი... იტალიელების წარმატება აქამდე ბევრით იყო

დამოკიდებული იტალიური ფესვების არგენტინელ მექულე დიეგო დომინგესის ფეხის სიზუსტეზე, რომელიც, სხვათა შორის, ზინედინ ზიდანის მძაკაცა და არგენტინულ კორდობაში ზიარად სუპერმარკეტების ქსელი აქვთ. დომინგესი გვარიანად მობერდა და თუმცა იტალიელთა თხოვნით რამდენჯერმე გადადო ნაკრებთან გამოთხოვება, ბოლოს მაინც წაიდა. 10 ნომრად კი ისევ არგენტინელი დიეგო ჰეცი ათამაშეს ამბობენ, მაგარი, მაგრამ საქართველოსთან დიდი ვერაფერი ხვითი ჩანდა.

საზოგადოდ იტალიელები ხშირად სარგებლობენ უცხოელთა ნიჭითა და გამოცდილებით. მწვრთნელიც უცხოელი ჰყავთ, ახალზელანდიელი ლეგენდა ჯონ ქირვანი, რომელსაც ამას წინათ ბორჯღალოსანთა გურუ კლოდ სორელმა საჯაროდ აგინა. ქირვანი თურმე ამტკიცებდა, ქართველებმა ჩემი ბიჭები ჩაალურჯესო, სორელს კი უპასუხია, შენები პროვოკატორები არიანო. ვერ შეთანხმდნენ და... ეს ბანკეტზე მოხდა.

ქართველებს იტალიაში „ჩვენი“ კაცი გვყავს ბორჯღალოსანთა უცვლელი ჰუქური აქვსენტი გიორგაძე, რომელიც „როვიგოში“ თამაშ-

ობს და წლეულს იტალიის „ოლ სტარში“ ლელოც გაიტანა. აქვსენტი იზიარებს იტალიელებზე გაერცლებულ საყოველთაო შეხედულებას (მხოლოდ არა ჩვენი მძაკაცი ენრიკესას) — თბილი და გემრიელი ხაზი-აო. იგივეს იმეორებს ილო ზედგინიძეც, რომელიც ასევე „როვიგოში“ თამაშობდა, ოღონდ გაზაფხულზე დამორდა იტალიელებს.

და ბოლოს, იტალიელები მთლად ჯგუფის ფავორიტები არ არიან, მაგრამ გარკვეული შანსი კი აქვთ. მათ ერთხელაც უნდა დაამარცხონ უელსელები, რაც წლეულს 6 ერზე უკვე გააკეთეს.

მთავარი მწვრთნელი: ჯონ ძირვანი
შირაქინება: ანდრეა როსი, არონ პერსიკო, ანდრეა ბენატი, მეტიუ ფილიპისი, სკოტ პალმერი, სერჯიო პარიზე, მაჟორ ბერგამასკო, კრისტიან ბეცი, სანტიაგო დელაპე, კარლო ჩეჩინატო, მირო ბორტოლაში, ანდრეა ჩიჩერო, სალვატორე პერუჯინი, ლეანდრო კასტროოვანი, რამირო მარტინესი, ფაბიო ონგარო, კარლო ფესტუჩიო
შპანა ხაზი: გერეთ ბინსი, გონსალო კანალე, მირო ბერგამასკო, ნიკოლა მანტუკატო, დენის დალანი, კრისტიან სტოიკა, მანუელ დალანი, ანდრეა მასი, მათეო ბარდინი, რიმა ვაკურუა, ფრანჩესკო მაზაროლი, ალესანდრო ტრონციონი (კაპ), მატეო მაცანტინი



დედაქალაქი
ნუკუალა
100 ათასი მაცხოვრებელი
3 500 მორაგბე

მსოფლიოს თასეზაზა

- 1987 — ჯგუფიდან ვერ გავიდა
- 1991 — არ მონაწილეობდა
- 1995 — ჯგუფში ერთი გამარჯვება
- 1999 — ჯგუფში ერთი გამარჯვება

ტონგა

სამტროდ აფრინილი მტრელები

მშვიდობიანი ერია, თუმცა კი მათი მორაგბეები ვერ დაიბრალდებიან, მშვიდობის მტრელები ვართო. მოედანზე რომ გადიან, რაგბისთვის ყოველგვარი „უსარგებლო სიკეთისგან“ თავისუფლდებიან და მოწინააღმდეგეს მტკივნეული შებოჭვებითა და აგრესიული თამაშით ერკინებიან. ათლეტი ტონგელები ძალისმიერ და სწრაფ რაგბის თამაშობენ.

ტონგელთა სიძლიერე და მტკივნეული შებოჭვები ქართველმა „ლელეობმა“ იგემეს, როდესაც 1999 წლის მსოფლიო თასზე მოსახვედრ შესარჩევ ტურნირზე ჯერ იყო და ტონგელებს ესტუმრენ და შემდეგ თბი-

ლისშიც უმასპინძლეს. „მშვიდობის მტრელების“ მსხვერპლი არა მარტო ქართველები არამედ ფრანგები და შოტლანდიელებიც გამოხდნენ. სამხრეთ ნახევარსფეროს ორ უძლიერეს ნაკრებში ახალ ზელანდიამ და ავსტრალიამ ტონგური წარმომობის ვარსკვლავები ბლომად არიან, თუნდაც ამ მაგალითების მოტანაც კმარა — ახალ ზელანდიელებს დატაკი ტონგასთვის ჯონა ლომუ წაურთმევიათ, ავსტრალიელებს კი ტოუტაი კეფუ. ისე კი, ტონგელები არავისთან აპირებს დათმობას. „მშვიდობიანი მტრელებს“ საკმაოდ არასასიამოვნო და გამყინავი ზელანდიური „პა-

კას“ მსგავსი მატჩისწინა შემახილიც აქვთ. ასე რომ, ტონგელები ვინმეს შემთხვევით მართლა „მშვიდობის მტრედი“ არ ევონოს.

მთავარი მწვრთნელი: ჯონ ლაპე
შირაქინება: ბეპურ კივალუ, ედუარდ ლანგი, ინოკე აფიაკი (კაპ), სტენლი აფიაკი, იპოლიტო ფანუკიტაუ, სონე ტუ მომელაუ, ნისიფოლო ნეო ფალუ, მალტონ ნგუმო, ვილიამი ვაკი, უსაია ლატუ, ტონგა ლეაბო, პიმანი ლავაკა, ქისიპულუ კაფოლოსი ტონგა, ვილიამი მასი, ეფრემ ტაუკაფა
შპანა ხაზი: პიერ პოლა, ლისიატუ ულუფონუ, ვილა ფიფიტა, ტევიტა ტუიფუა, სონე ფანოა, სუკანიავალუ ჰუფანგა, გუს ლევერი, ჯონი გუმო, ჯონ პეინი, სილა ვანუკუ, ტონი ალანტინი, სატევი ტუიპოლუტუ, სილილო მარტენსი, დევიდ ბელუ



გვირგვინის ნახევარი საქმე: ნახევარფინალი და ლიბენზია

საზრანგაში მიმდინარე ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე გუშინ სამი დარჩენილი წონის ჯგუფური შეხვედრები დაიწყო. პარალელურად კი პირველ დღეს თავგამოჩენილმა ფალანგებმა მძლეობისთვის განაგრძეს ბრძოლა. ქართველთაგან ასეთი ორი იყო. შარშანდღეობა ბრინჯაოს პრიზიორმა მანუჩარ კვიციანიამ (66კგ) ჩვეულებრივად იჭიდავა და მორიგ მეტოქეებსაც საკმაოდ იოლად გაუმკლავდა. პოლონელ რიჰარდ ვოლნის 4:0 ძლიერად მეოთხედფინალის საგზურთან

ერთად მან ათენის ოლიმპიადის ლიკენზიაც მოიგო. მართალია, მორიგ შეხვედრაში თურქ სერეფ აროღლუსთან ჩემპიონატზე პირველი ქულა დაკარგა, მაგრამ სამაგიეროდ, თავად სამი აილო და ნახევარფინალშიც გააღწია. იქ მისი მოწინააღმდეგე უნგრელი ლევანტე ფერელი იქნება, ხოლო მეორე ნახევარფინალში ერთმანეთს ორი სომეხი, ვაგინარ გალუსტიანი და არმენ ვარდანიანი დაუპირისპირდება, ოღონდ მეორე უკრაინის ღირსებას დაიცავს. ლიკენზია გაინაღდა მუხრან ვახტანგაძემაც (84კგ), თუმც კვირკვე-

ლიასგან განსხვავებით, მე-ოთხედფინალს ვეღარ გასცდა. სლოვაკ ატილა ბატკისთან 1:3 დამარცხდა, მანამდე კი ფრანგ მელონი ნუშონიეს ასეთივე ანგარიშით სძლია. პირველი ჯგუფური შეხვედრები ჩაატარეს ოლიმპიურმა პრიზიორმა აკაკი ჩაჩუამ (60კგ) და მსოფლოს ექს-ჩემპიონმა ბადრი ხასაიამ (74კგ) და ორივემ წარმატებულად ჩაჩუამ სერბ დავორ სტეფანეკს 4:1 მოუგო, ხოლო ხასაიამ ბერძენ გეორგიოს ციოლასს — 3:0. რამაზ ნოზაძე (96კგ) პირველ წრეში კენჭისყრამ დაასვენა. მისი მეტოქეები ქვეჯგუფში კორეელი იუნგტაე ჰანი და ესპანელი ვალდო მორენო არიან.


ოთარ მაღლაკელიძე



ადმოსავლეთის კონფერენცია

სამსრამო-ადმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტ თრეზისი შარშან ორი „ატლანტა“ ვიზილეთ. ერთი, უნიათო, ბობ პარტლამდე იყო, მეორე სიმბათიური და ორგანიზებული, სწორედ ამ მწვრთნელის მისვლის შემდეგ. ამ სეზონში, ცხადია, „თრეზერებს“ პარტლი გაუძღვება, რაც ალბათ კვლავ წინსვლის საწინდარი იქნება. ასე რომ, ატლანტას პლეი ოფში გასვლა არავის გაუკვირდება. მით უმეტეს, რომ ეს დივიზიონი ტრადიციულად ყველაზე სუსტია და მასში დაწინაურება გაცილებით ადვილია.



ბობ პარტლი

კაროლინა პარიკიონი

შარშანდღეული მოულოდნელი წარმატება (ფინალში გასვლა) და გასული სეზონის ფიასკო (ბოლოს-წინა ადგილი) აი, ამ გუნდის ორი სრულიად საპირისპირო შედეგი, რომელიც ეგებ სულაც არ გამოხატავს „ქარიშხლების“ რეალურ ძალას მათ სავსებით გაამართლეს თავიანთი სახელწოდება, თუმც წლეულს ქარიშხალი ნაკლებმოსალოდნელია — გუნდი სატურნირო ცხრილის შუაში გაიჩნდება და მისი პლეი ოფში გასვლა ისეთივე არ იქნება მოულოდნელი, როგორც ვერგასვლა. ერთი კი მაინც სათქმელია: „კაროლინაში“ ამ ზაფხულს ერთობ გაიმგრა უკანა ხაზი. სამივე ახალწვეული მცველი დაცვის მთავარ ბურჯად უნდა იქცეს.

ფლორიდა პანტარისი

ამ გუნდს იმდენი ნიჭიერი ახალგაზრდა ჰყავს, რომ გუნდის პროგრესი გარდაუვალია. სხვა საქმეა, რამდენად სწრაფად მოხერხდება ეს. თუმც „პანტერების“ ხელმძღვანელობა და განსაკუთრებით მისი ამბიციური თავკაცი მაიკ კინენი რომ დიდხანს ლოდინს არ აპირებს, საზაფხულო ცვლილებებიდანაც ჩანს. გუნდის შემადგენლობას საკმაოდ გონივრულად შეერწყა რამდენიმე გამოცდილი ვეტერანი, რომელთა დახმარებითაც ოლი იოკინენის და კრისტინან ჰუსელიუსის ნიჭი წესით, კიდევ უფრო უნდა აკამყარდეს. ყველაფერ ამას პლუს თავის ასაკში ყველაზე ძლიერ მეკარედ მიჩნეული რობერტო ლუონგო და... შეიძლება ვთქვათ, რომ ფლორიდას პლეი ოფში ვიზილავთ.


ტაშაა ბაი ლაითონი

„ტაშაა“ ამ დივიზიონის კიდევ ერთი მზარდი გუნდია, ოღონდ მან ეს პროცესი „ატლანტასა“ და „ფლორიდასთან“ შედარებით ადრე დაიწყო და შესაბამისად უფრო მეტსაც მიაღწია. თუმც, მოგეხსენებათ, ზევით-ზევით სვლა სულ უფრო და უფრო რთულდება და ამიტომ „ელეგებს“ შარშანდღეული შედეგის გამოვრება ეგებ გაუჭირდეთ კიდევ. გასულ სეზონში კლუბის საუკეთესო ბომბარდირი ეაკლავ პროსპალის წასვლაც ეგებ დეტეივოს, თუმც ახალწვეულებსაც არაფერი უჭირთ. კიდევ კარგი, პროსპალს მეკარე ნიკოლაი ხაბიბულინიც არ მიჰყვა, თორემ ეს დანაკლისი გაცილებით მტკივნეული აღმოჩნდებოდა გუნდისთვის. მიუხედავად ბევრი მითქმა-მოთქმისა, „ელეგის“ წინსვლის მთავარი შემქმნელი დარჩა გუნდში და უდავოდ შეეცდება ელიტაში დამკვიდრებას.

ვაშინგტონ კაპიტალსი

„ვაშინგტონი“ კმაყოფილი უნდა იყოს, სეზონს იარაღით იაგრის, პეტერ ბონდრას და რობერტ ლანგის თანხლებით რომ იწყებს, მაგრამ პარადოქსი ისაა, რომ დედაქალაქელები მთელი ზაფხულის განმავლობაში ცდილობდნენ მათ გაეიდგას. განსაკუთრებით იაგრი ყოფილა მოწადინებული და ბუნებრივია, მან აშკარად ვერ ააწყო თამაში ამ გუნდში. მიუხედავად იმისა, რომ ძალ-ღონეს არც გუნდი იშურებდა და არც ჰოკეისტები, ვერც ერთი გარიგება ვერ შედგა. პოდა, წარმოვიდგენათ, რა იქნება ახლა გუნდი, რომლის ლიდერებსაც გულზე არ ეხატებათ იქ თამაში. „კაპიტალსში“ მწვრთნელიც არ შეიცვალა. არადა, იაგრისა და ბრიუს კესიდის რთული ურთიერთობების თაობაზე ყველამ იცის.

სამხელ ლარგიანი



იარაღით იაგრი ვაშინგტონში ბედს ვერ ეწია


პოლონურმა GSM-მა თბილისი გაგორბო

ახმაიფარაშვილი, ჯასპაროვი, ივანჩუკი, ეს იმ ცნობილ დიდოსტატთა სიაა, რომლებსაც ამ ევირაში ახალგაზრდა ქართველი მოჭადრჩაე ბაადურ ჯობაძე შეეჭიდა. ყრუტაში მიმდინარე ევირაპის საკლუბო ჩემპიონატის მეხუთე ტურში ქართველი ვაჟების გუნდ „თბილისის“ მეტოქე განთქმული დიდოსტატებით

გაეძგდლი პოლონური „პოლონია პლუს GSM ვარშავა“ იყო. კლუბში თამაშობენ: უკრაინელი ვასილ ივანჩუკი, ებრაელი ბორის გელფანდი, ევირაპის გასული წლის ჩემპიონი, პოლონელი ბართლომეო მაჩეია და მისი სამი თანამემამულე მიხეილ ყრასენკოვი, რობერტ კემპინსკი და ბარტოსზ სოსკო.

ჯობაძემ ივანჩუკთან თამაში ს4-ით დაიწყო, უკრაინელმა კი მხედარი ან-ით უპასუხა. მოწინააღმდეგეებმა წინ თავიანთი კავალერია პაიკებთან ერთად გამოიყვანეს და ცენტრისთვის ბრძოლა გამართეს. შეტაკებაში თანდათან სხვა ფიგურებიც ჩაერთვნენ, რის გამოც ორივემ დროებით ზოცვა-ჟღერა შეწყვიტა და დაფაზე ფიგურების განვითარება დაიწყო. 31-ე სვლაზე მეტოქეები გაცვლებს შეუდგნენ, რის შემდეგაც 44-ე სვლაზე მოწინააღმდეგეებს ოთხ-ოთხი პაიკი, ეტლი და მეფეც დარჩათ. ამის შემდეგ თამაში პაიკების გაცვანაზე გაგრძელდა, თუმც მომდევნო 19 სვლაში ქართველმა და „პოლონელმა“ ერთმანეთის ვერაფერი დააკლეს და დაზავება არჩიეს.

ლოფანდს დაუპირისპირდა და ყაიმით დაასრულა პარტია. წააგო თავისი შეხვედრა მერაბ გავუნაშვილმა. მას მაჩეიამ მოუგო. დარჩენილმა სამმა ქართველმაც, პირველი ორის მსგავსად, ყაიმებით ითამაშა. მიხეილ მჭედლიშვილმა — კრასენკოვთან გაიყო ქულები, ზვიად იზორიამ — კემპინსკთან, ხოლო ლევან ფანკულაიამ სოსკოსთან. საბოლოოდ კი „თბილისმა“ პოლონურ გუნდთან 2,5:3,5 წააგო, 15 ქულა დააგროვა და ახლა ლიდერ „ლადია-ყაზანს“ 8,5 ქულით ჩამორჩება. ზუარაბ ახმაიფარაშვილის ბოსნიურმა „კისერჟაკმა“ კი 3,5:2,5 სძლია უკრაინულ „მომოტ ჩეზ კლუბს“ და პირველ ადგილს ორ ქულამდე დაუახლოვდა.



ბაადურ ჯობაძე (მარჯვნივ) ვასილ ივანჩუკს დაუხვავდა



ლევან ფანკულაიამ სოსკოსთან

სარბიელი
საორტული გაზაფხულის
გამოიცავს 1990 წლის
28 დეკემბერიდან
გამოცემის საფაბრატოს,
ოთხსაბაბრატოს, ხუთსაბაბრატოს,
პარასკეპს და შაბატოს

გამომცემელი ზურაბ ჯორჯაძე
დირექტორი ბიორბი ოძროშაძე
რედაქტორი თამაზ მიხრიაშვილი
რედაქტორის მოადგილე სოსო კობორაძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა ბუნაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: ვიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულიასვილი, გიორგი დარჯანიანი, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხოშერია, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი შირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: ვია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაუაძე, ირაკლი პერტია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში: ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტაჟორები: გურამ დღეუჯვაშვილი, ბადრი კვიციანიძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაგელიძე, სვეტა ლევაძე, ფატი დვალისხელი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტარიძე, თენგიზ ფოფხაძე, მაღსაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
ყაზაბაძის გამზირი 42, II
კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieri@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieri.com.ge